DGStZ

DEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი

2/2017

გამომცემლები
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტტიხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

საქართველოს სისხლის სამართალი: ევროპის გზაზე
პროფესორი, სამართლის დოქ. *ედვარდ შრამი*, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი 32

ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით
დოქტორანტი *გიორგი მირიანაშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 40

ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება – ქართული სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები
დოქტორანტი *თამარ გეგეშიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 44

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით
დოქტორანტი *ხატია თანდილაშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტი 51

სხვადასხვა

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მეორე სამუშაო შეხვედრის ანგარიში – 2017 წლის მარტი (იენა/ბერლინი)
სამეცნიერო თანამშრომლები *პაულ ანდრეას გლატცი/ ფრანც-პეტერ ჰელბიგი*, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი 58

DGStZ
DEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი
2/2017

სარედაქციო კოლეგია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტ-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანნეკე პეტცშე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის
სამარლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩეანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტ-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტ-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის მეორე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
ხატია თანდილაშვილი LL.M. (პოტსდამი)
ანი ნასრაშვილი LL.M. (კიოლნი)
ლადო სირდაძე
მარიკა ტურავა, სამართალმცოდნეობის
კანდიდატი (ბერლინი)
დავით ჩიხლაძე LL.M. (ბერლინი)

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:
ლექტორი სისხლის სამართალში იზა კელენჯერიძე
ასისტენტ-პროფესორი, სამართლის
დოქ. თემურ ცქიტიშვილი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:
დიპლომირებული იურისტი სიარდ ზეეგერი
სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

მეორე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:
ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

საქართველოს სისხლის სამართალი: ევროპის გზაზე*

პროფესორი, სამართლის დოქ. ***ედვარდ შრამი***,** იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი

I. საქართველო – ევროპის აივანი

საქართველო – როგორც ქართველები თავიანთ ქვეყანას უწოდებენ, გერმანიისგან ძალიან შორს მდებარეობს. საქართველო იმ ქვეყანათა რიგს ეკუთვნის, რომელიც უკვე აზიაა, ანდა სულ მცირე წინა აზიის სახელმწიფოდ განიხილება. ამის მიუხედავად, ქართველები თავიანთ სამშობლოს „ევროპის აივანს"[1] უწოდებენ, როგორც ევროპის შენობის ერთ ნაწილს. ევროპის სახლი, ევროპის ერთიანი შენობა – შეიძლება ჩვენში უფროსი თაობის წარმომადგენლებს მოაგონდეთ მეტაფორა, რომელიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მიხეილ გორბაჩოვმა და ჰელმუთ კოლმა პირველებმა გამოიყენეს. საქართველი აივანია, საიდანაც მართალია, აზიის ხედი იშლება, მაგრამ ეს აივანი ევროპული შენობის შემადგენელი ნაწილია. ვინც თბილისში ყოფილა, საქართველოსთან დაკავშირებულ ევროპული აივნის ამ მეტაფორაზე ძალაუნებურად ფიქრობს, როდესაც ნაწილობრივ რესტავრირებულ, ულამაზეს აივნებს ათვალიერებს, რომელთა ნახვაც ამ მეტროპოლიაში ყველგან არის შესაძლებელი. ასეთ დროს ალბათ სხვებიც ისე ფიქრობენ, როგორც მე: რა ლამაზია საქართველო, ევროპის აივანი.

ამ მეტაფორის მიხედვით, საქართველო ევროპას ეკუთვნის და მიუხედავად 3000-კილომეტრიანი დაშორებისა გერმანიასა და საქართველოს შორის, ის ჩვენთან ძალიან ახლოსაა. კავკასია, ევრაზიული მხარე, შავ და კასპიის ზღვებს შორის ბოლო წლებში პოლიტიკურად ისედაც ევროპას მეტად დაუახლოვდა. იქაური, ნაწილობრივ სისხლიანი კონფლიქტები, უპირველეს ყოვლისა და ყველაზე კრიტიკულად უკრაინაში, მაგრამ ასევე ჩეჩნეთში და საქართველოში აღიქმებოდა და დღემდე მიიჩნევა მსოფლიო პოლიტიკის საფრთხის კერად, რომელიც გარკვეულწილად ჩვენ ყველას გვეხება. და სულ ბოლოს: დასავლეთ ევროპას ბუნებრივი აირით და ნავთობით საქართველოს გავლით ზოგიერთი მილსადენი აზერბაიჯანიდან კასპიის ზღვის მხრიდან ამარაგებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ევროპის ენერგიით მომარაგების საკითხში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

საქართველოს აივნის ევროპის სახლისადმი კუთვნილებას ადასტურებენ ჩვენი სტუმრებიც, რომელთა მისალმების შესაძლებლობაც დღეს იენაში გვაქვს, ვინაიდან თემა, რომელმაც ჩვენ დღეს ერთად მოგვიყარა თავი, ქართული სისხლის სამართლის, უფრო ზუსტად, ქართული სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციას ეხება. უპირველეს ყოვლისა კი აღსანიშნავია, რომ ქართულ და გერმანულ იურისპრუდენციას შორის კავშირი დიდი ხანია არსებობს. მოულოდნელი, მაგრამ საქართველოს სამართლის ისტორიაში განმტკიცებული, ცნობილი ფიგურაა *ფრანც ფონ ლისტი* (1851-1919).

ფრანც ფონ ლისტი სისხლის სამართლის სფეროში უდიდესი მეცნიერია, რომელმაც კანტის და ჰეგელის მოსაზრებები სამაგიეროს გადახდასთან დაკავშირებით უკანა პლანზე გადაწია. მან სისხლის სამართალში სასჯელის მიზნისა და ინდივიდუალური პრევენციის ცნებები წინა პლანზე წამოწია.[2] *ფრანც ფონ ლისტი* იყო არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროფესორი, არამედ ასევე საერთაშო-

---

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა *ანი ნასრაშვილმა*.

** ავტორის მიერ ეს მოხსენება შესავლის სახით გაკეთებულია 2017 წლის 16 მარტს, გერმანულ-ქართული მეორე სამუშაო შეხვედრის დროს იენაში. მოხსენების ფორმა ძირითადად შენარჩუნებულია.

[1] შეად. გერმანულენოვანი ვიკიპედია საქართველოს შესახებ, *https://de.wikipedia.org/wiki/Georgien* ასევე, მაგალითად den Bildband über Georgien von *Hänel*, Auf dem Balkon Europas, Halle 2017.

[2] შეად. *Frisch*, Franz von Liszt – Werk und Wirkung, in: Koch/Löhnig, Die Schule Franz von Liszts – Sozialpräventive Kriminalpolitik und die Entstehung des modernen Strafrechts? 2016, S. 1 ff. *T. Vormbaum*, Einführung in die moderne Strafrechtsgeschichte, 2. Aufl. 2011, S. 125 ff.

რისო სისხლის სამართლის პროფესორი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. 1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მან მრავალმხრივ საყურადღებო შეფასება შეადგინა, რომლითაც საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი დამოუკიდებლობა დაადგინა.[3] ამის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გერმანული კაიზერის იმპერიამ, 1918 წელს საქართველოსთან ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის სამხედრო და ეკონომიკურ თანამშრომლობას საქართველოსთან. 1918/1919 წლების ნოემბრის რევოლუციით გერმანიაში და ე.წ ვაიმარის რესპუბლიკის დაარსებით ეს ხელშეკრულება ისტორიის ნაწილად იქცა. საქართველოს დამოუკიდებლობის თანმდევი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება იყო.

საქართველო მხოლოდ სამი წლის განმავლობაში – 1918-დან 1921 წლამდე იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. მენშევიკი სოციალ-დემოკრატების მიერ, 1918 წელს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა სამი წლის შემდეგ დასრულდა, როდესაც ბოლშევიკური რუსული მთავრობის წითელმა არმიამ 1921 წელს საქართველო დაიპყრო. 1922 წელს საქართველო სსრკ-ის ძირითად ქვეყანათა შორის იყო, სანამ 1991 წლის ზაფხულში მან დამოუკიდებლობა არ გამოაცხადა. მე, ამ ისტორიას აქ ვახსენებ იმაზე ყურადღების გასამახვილებლად, რომ გერმანული დემოკრატიული რესპუბლიკის დროს იენის უნივერსიტეტში კვლევის ერთ-ერთ მიმართულებად კავკასიოლოგია, უკვე დაარსებული იყო – *გერტრუდა პეტჩეს* მიერ და შემდგომში *ჰაინც ფენრიხის* მიერ გაგრძელებული. ამგვარად, გერმანული დემოკრატიული რესპუბლიკის დროისთვის უკვე არსებობდა ინტენსიური მეცნიერული კონტაქტი იენის უნივერსიტეტსა, კავკასიას და შესაბამისად – საქართველოს შორის. იენის კავკასიოლოგია გერმანიის მასშტაბით, ევროპის მასშტაბით, მსოფლიოს მასშტაბით ერთადერთია. ჯერ კიდევ 1966 წელს დაიდო იენის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის პარტნიორობის ხელშეკრულება, რომელმაც 1992 წელს გაგრძელება ჰპოვა.[4] იენის სისხლის სამართლის მეცნიერები გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის მეორე პროექტს მიიჩნევენ არა უბრალოდ იურიდიული ფაკულტეტის ღონისძიებად, არამედ მას მოიაზრებენ მთლიანის ნაწილად, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის სამეცნიერი ტრადიციის შემადგენელ ნაწილად და გაგრძელებად.

სისხლის სამართლის გერმანულ-ქართული მეორე პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ იენაში და ბერლინში შევიკრიბებით, შეემატება სისხლის სამართლის იმ მეცნიერულ კავშირებს ქართველ და გერმანელ მეცნიერებს შორის, რომლის მნიშვნელობაც არ უნდა შემოიფარგლოს იენის უნივერსიტეტით. აღსანიშნავია ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროექტი Netzwerk Ost-West, რომელიც ინტენსიურ კონტაქტს ინარჩუნებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და რეგულარულად მართავს სტუდენტურ სემინარებს ასევე ქართულ უნივერსიტეტებთან. ჩემი კოლეგა, *მარტინ ჰეგერი*, რომელიც ასევე ამ პროექტის პარტნიორია, ხელმძღვანელობს ხსენებულ Netzwerk Ost-West პროექტს. ასევე უნდა გავიხსენოთ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – DGStZ, რომელსაც 2016 წელს ჩაეყარა საფუძველი და მეტწილად *ანრი ოხანაშვილის* ხელმძღვანელობის ქვეშაა, თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორ *ბერნდ ჰაინრიხის* მნიშვნელოვანი მონაწილეობით, რომელიც ასევე ამ პროექტის პარტნიორია. ამ ჟურნალის მხარდამჭერია ასევე IRZ, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული საზოგადოება. აღნიშნული ელექტრონული ჟურნალი მეოთხედ გამოიცა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს 2007 წლიდან არსებული სამაგისტრო პროგრამის „გერმანული სამართლის“ თაობაზეც, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშომლობით ხორციელდება.[5]

[3] *von Liszt*, Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien – ein Gutachten. Wien 1918 (ხელმისაწვდომია: http://resolver.staatsbibliothek-berlin.de/SBB0000B20100000000).

[4] შეად. დოქტორ იურგენ ჰედრიხის (გამოუქვეყნებელი) მოხსენება, იენის FSU-ს საერთაშორისო ოფისის იმდროინდელი ხელმძღვანელი. მოხსენება გაკეთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, პარტნიორობის 45-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, 2011 წლის 14 სექტემბერს.

[5] ამის თაობაზე საფუძვლიანად იხ. *Schmidt/Waßmer*, Der Masterstudiengang zum deutschen Recht der Ivane Javakhishvili Staatsuniversität Tiflis und der Universität zu Köln, DGStZ 2016, 3/2016, 28 ff.

II. ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია და ინტერნაციონალიზაცია

ქართული სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია მიმდინარეობს ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის სამივე სფეროში, კერძოდ ეს ეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ევროპის საბჭოს სტრასბურგში, საერთაშორისო სისხლის სამართლის დარგსა და სისხლის სამართლის ევროპეიზაციას ევროკავშირის მეშვეობით ბრიუსელში.

1. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მიმოხილვა დავიწყოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ყველას გვახსოვს: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს სტრასბურგში ევროპის საბჭოს დაარსება, რომლის უმნიშვნელოვანეს კონვენციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიეკუთვნება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ჩვენთვის, სისხლის სამართლის სპეციალისტებისთვის იმით არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომ იგი უამრავ განმარტებას აკეთებს სისხლის სამართლისა და უპირველეს ყოვლისა სისხლის სამართლის პროცესის შესახებ.[6] ევროპის საბჭოსთვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებულ როლს თამაშობდა იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის ტოტალიტარული გამოყენების გამოცდილება ჯერ კიდევ ყველას უშუალოდ თვალწინ ჰქონდა, პირველ რიგში, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკური და რასისტული მიზნებისთვის ინსტრუმენტალიზებით და ნაციონალ-სოციალისტური უსამართლო რეჟიმით ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევებით.[7] გერმანიამ ევროპის საბჭოში გაწევრიანება უკვე 1950 წელს შეძლო. სამი წლის შემდეგ, გერმანიაში ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. საქართველო ევროპის საბჭოს 50 წლის შემდეგ შეუერთდა – 1999 წლის აპრილში და ამავე წლის მაისში მან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.[8]

მსურს ერთი მაგალითი გავიხსენო: ორი წლის წინ, როდესაც ჩვენ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ვესტუმრეთ, იქ მოწყობილ სასამართლოს მუზეუმში სასამართლოს ერთ-ერთი დარბაზი გვაჩვენეს, რომელშიც ლითონის გალია იყო. პრაქტიკა, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის ლითონის გალიისებრ საკანში ჩაკეტვის შესახებ მაშინ, როდესაც მის მიმართ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, დღემდე ბევრ ქვეყანაშია დამკვირდებული; აღნიშნული ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მაგალითად 2015 წლის ხადარკოვსკის საქმით კონვენციის დარღვევად მიიჩნია.[9] საქართველოშიც იყო ეს პრაქტიკა შემოღებული და დღემდე იარსებებდა, ვიდრე 2009 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში „რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“[10] არ დაადგინა, რომ ლითონის გალიისებრი საკნის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში სისტემატურად არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებულ წამების აკრძალვას. მასში ადამიანის მოთავსება წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელებისთვის არ არსებობს მიზეზი, ქართულ მართლმსაჯულებაზე თითის გაშვერისთვის, როდესაც საკითხი ეჭვმიტანილის მიმართ მოპყრობას ეხება, ვინაიდან, მაგალითად 2014 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გერმანიის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება წამების აკრძალვის (კონვენციის მე-3 მუხლი) დარღვევის შესახებ, იმ მიზეზით, რომ ახალგაზრდა კაცი შვიდი დღის განმავლობაში შიშველ მდგომარეობაში და-

[6] ამის თაობაზე *Jähnke/Schramm*, Europäisches Strafrecht, 2017, Kapitel 1, Rn. 5.

[7] *Safferling*, Internationales Strafrecht, § 13, Rn. 7.

[8] *Jishkariani*, Die Bedeutung des Europäischen Strafrechts und sein Einfluss in Georgien, 2013, S. 17.

[9] შეად. ასევე EGMR, Urt. v. 17.7.2014 – 32541/08 u. 43441/08 (*Svinarenko and Slyadnev v. Russland*; ხელმისაწვდომი: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-169633) mit Anm. *Meyer-Ladewig/Petzold* NJW 2015, 3423.

[10] EGMR, Urt. 27.01.2009 – 1704/06 (*Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*; ხელმისაწვდომი: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-90941

მამშვიდებელ საკანში იყო მოთავსებული.[11] ასევე შეიძლება გავიხსენოთ გერმანიის შემთხვევა გეფგენთან დაკავშირებით.[12]

2. საერთაშორისო სისხლის სამართალი

საერთაშორისო სისხლის სამართალი და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი ასევე გავლენას ახდენენ ქართულ სისხლის სამართალზე. საერთაშორისო სისხლის სამართალი წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგის ომის დანაშაულის და ტოკიოს პროცესებით. იუგოსლავიის და რუანდის ტრიბუნალების შემდეგ, ათასწლეულის ბოლოს, 2002 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაარსდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.[13] იგი სისხლისსამართლებრივად დევნის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ მძიმე დანაშაულებს[14], როგორიცაა გენოციდი, ომის დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ახლებურად განსაზღვრული თავდასხმითი ომის დანაშაული.[15] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საფუძველი იყო რომის 2002 წლის სტატუტი,[16] რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2003 წელს მოახდინა.

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო აქედან მოყოლებული ახორციელებს თავის იურისდიქციას დასახელებული მძიმე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების მიმართ, და მათ შორის საქართველოსთან მიმართებით, თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაულები რომის სტატუტის მე-12 მუხლის მეორე აბზაცით დადგენილი პრინციპებით საქართველოს ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი ან ხსენებული დანაშაული საქართველოს მოქალაქის მიერ იქნა ჩადენილი. 2016 წლის იანვრიდან ჰააგის სასამართლოს მიერ მიმდინარეობს წინასაგამოძიებო მოქმედებები მთავარი პროკურორის მიერ (proprio motu investigation) ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო, რომელიც რუსი ჯარისკაცების მიერ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს, 2008 წლის იანვარში სავარაუდოდ განხორციელდა.[17] პირველ რიგში აქ იგულისხმება ომის დანაშაული და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, უპირველეს ყოვლისა ეთნიკური წმენდა, რომელიც რუსებმა სამხრეთ ოსეთის ტეროტორიაზე განახორციელეს; საუბარია სამხრეთ ოსეთის მხრიდან გამოძევებულ ათიათასობით ქართველზე. ქვეყნის შიგნით დევნილი ამ პირების საცხოვრებელი პირობები რთულია.

აღნიშნული გამოძიების გამო, რუსეთმა, ვლადიმერ პუტინის ბრძანებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დატოვა. რუსეთმა აშკარად გამოხატა, რომ მას ამ სასამართლოს წევრობა არ სურს. მოსკოვმა ხელშეკრულებას 2000 წლის სექტემბერში მოაწერა ხელი, თუმცა მისი რატიფიცირება არ მოუხდენია. ის ფაქტი, რომ რუსეთის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მაინც შეუძლია გამოძიება აწარმოოს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი რომის სტატუტს არასდროს შეერთებია (და აქედან გამომდინარე ე.წ ავტომატური იურისდიქცია automatic jurisdiction მასზე არ ვრცელდება) იმით არის განპირობებული, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ICC-ის კომპეტენცია ფორმალურად იმ დანაშაულებზეც ვრცელდება, რომლებიც წევრი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი.[18]

[11] EGMR, Urt. v. 7. 7. 2011 − 20999/05 (*Hellig v. Germany*, ხელმისაწვდომი: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-105284).

[12] EGMR, Urt. v. 30. 6. 2008 – 22978/05 (*Gäfgen v. Germany* ხელმისაწვდომი: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-99015) und EGMR, Urt. v. 1. 6. 2019 – 22978/05 (*Gäfgen v. Germany*, ხელმისაწვდომი: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-99015); დასკვნა *Schramm*, Internationales Strafrecht, 2011, 3/35 ff.

[13] შეად. ასევე *Esser*, Europäisches und Internationales Strafrecht, 2014, § 15 Rn. 33 ff.

[14] შეად. რომის სტატუტის მე-5 მუხლთან (ICC-Statut), ხელმისაწვდომი: https://www.icc-cpi.int/nr/rdonlyres/ea9aeff7-5752-4f84-be94-0a655eb30e16/0/rome_statute_english.pdf

[15] შეად. ამის თაობაზე *Effinowicz*, Aktuelles Gesetzgebungsvorhaben: Neufassung des Verbrechens der Aggression, JuS 2017, 24; Bundestags-Drucksache 18/8621 S. 9.

[16] რომის სტატუტი (ICC-Statut).

[17] Situation in Georgia ICC-01/15; შეად. ამის თაობაზე Public Notice of the ICC Prosecutor to the victims of violence committed in the context of the August 2008 armed conflict in Georgia, ხელმისაწვდომი: https://www.icc-cpi.int/georgia.

[18] ICC-ის ფორმალურ განსჯადობასთან დაკავშირებით დაწვრილებით *Ambos*, Internationales Strafrecht, 4. Aufl. 2014, § 8 Rn. 5.

3. ევროკავშირის სისხლის სამართალი

საერთაშორისო სისხლის სამართლის, გაეროს საერთაშორისო სისხლის სამართლის და რომის სტატუსის ხელშემკვრელი სახელმწიფოთა ხსენების შემდეგ, დავუბრუნდეთ ევროპულ სისხლის სამართალს. აქამდე ყურადღება გავამახვილეთ ევროპის საბჭოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხედვა ბრიუსელის მიმართულებით, ევროკავშირსა და სისხლის სამართალზე, რომელიც ევროკავშირის მიერ იქმნება ან ევროკავშირის ზეგავლენას განიცდის. სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია ევროკავშირის მიერ ფართო სფეროა. სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციის ცენტრალური ნაწილია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლი.[19] ეს მუხლი ითვალისწინებს ევროკავშირის ჰარმონიზების კომპეტენციას სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სამ დარგში:

1. მტკიცებულებათა დასაშვებობის მოწესრიგება;
2. ცალკეული პირების (ბრალდებულის) უფლებების ჰარმონიზება;
3. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების მსგავსი მოწესრიგება.

ამ პროექტის ერთ-ერთი დოქტორანტი სტიპენდიანტი, ქალბატონი ანა ნასრაშვილი დაკავებულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის, სისხლის სამართალში იუსტიციური თანამშრომლობისა და ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს პერსპექტივების კვლევით. იგი იკვლევს, რამდენად რელევანტური შეიძლება იყოს ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლი საქართველოსთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის და შესაბამისად, ევროკავშირის პირველადი სამართალი მისთვის საერთაშორისო სამართლებრივად სავალდებულო არ არის. მომდევნო სტიპენდიატი, *ხატია თანდილაშვილი* თავისი დოქტორანტურის ფარგლებში დაკავებულია თემით – მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ინტერნაციონალიზებულ ქართულ სისხლის სამართალში ევროკავშირის გავლენის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ინტერესით დაველოდოთ სამწლიანი პროექტის დასრულების შემდეგ კვლევის შედეგებს.

ა) აღმოსავლეთ პარტნიორობა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა

პირველადი სამართლის თანახმად, ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან გააფორმა,[20] შესასრულებლად სავალდებულოა და აქედან გამომდინარე, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მანამდე საქართველოს ევროპულ გაერთიანებასთან დადებული შეთანხმებით პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წელს ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება ეკონომიკური დანაშაულის, მათ შორის კორუფციის, საქონლით უკანონო ვაჭრობისა და ფალსიფიკაციის პრევენციის, ისევე როგორც ფულის გათეთრებასთან, ნარკოტიკებთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის გაუმჯობესების თაობაზე.[21] საქართველოს მიერ მორიგი ვალდებულებების აღება მოხდა ევროკავშირთან ე.წ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. ამგვარად, 2006 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებულ იქნა სამოქმედო გეგმა, რომელიც გაუმჯობესებულ საპოლიციო და იუსტიციურ თანამშრომლობასთან ერთად სისხლის პროცესუალურსამართლებრივი ინსტიტუტის – საპროცესო შეთანხმების დახვეწას ითვალისწინებს და მატერიალურსამართლებრივი კუთხით, ტერორიზმთან ბრძოლის გარდა, ადამიანით ვაჭრობას, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულთა სფეროებს, მაგალითად ბავშვთა პორნოგრაფიას მოიცავს.[22]

ბ) ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის

ქართული სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციის შემდგომი იმპულსები ამჟამად მეტწილად ევროკავშირსა და საქართველოს შორის გა-

[19] ამის თაობაზე *Jähnke/Schramm*, Europäisches Strafrecht, 2017, Kapitel 11, Rn. 1 ff.

[20] ABl. L 261, 2014/494/EU (ხელმისაწვდომი: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf).

[21] ამის თაობზე საფუძვლიანად *Jishkariani*, Die Bedeutung des Europäischen Strafrechts und sein Einfluss in Georgien, S. 23 ff.

[22] *Jishkariani*, Die Bedeutung des Europäischen Strafrechts und sein Einfluss in Georgien, S. 26.

ფორმებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. მას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი და 2016 წლის პირველ ივლისს შევიდა სრულად ძალაში, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრმა ყველა სახელმწიფომ ამ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა (ასევე ასოცირების ხელშეკრულება მოლდოვასთან, მაშინ როდესაც უკრაინის ასოცირების ხელშეკრულება ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს – ნიდერლანდების მიერ უარყოფილ იქნა, და შესაბამისად იგი ძალაში ვერ შევიდა, მაგრამ ამის მიუხედავად მისი იმპლემენტაცია ფაქტობრივად მაინც მიმდინარეობს). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ეს შეთანხმება არ მოიცავს გაწევრიანების შესაძლებლობას, ხსენებულ შეთანხმებაში ასევე არ მოიძებნება მითითება იმის თაობაზე, რომ ასოცირების პროცესის დასრულების შემდეგ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში დადგება. საქართველო ამ მომენტში არ განიხილება წევრობის კანდიდატად. ასოცირების ხელშეკრულების საგანი უმეტესწილად გაღრმავებული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობაა ევროკავშირსა და საქართველოს შორის. გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნდა მოეწყოს ანდა გაღრმავდეს ურთიერთობა თავისუფალი სავაჭრო ზონის ფარგლებში, ე.წ DCFTA. ამ შეთანხმების მიზანი ბევრად მეტია,[23] რომ საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთს თანაბარ დონეზე ხვდებიან. საქართველო რომ ევროკავშირის წევრი გახდეს, შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ რუსეთი, მას შემდეგ რაც ის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიჭრა, საქართველოს დარჩენილ ნაწილსაც დაიპყრობს. რუსეთის შემდგომი ოკუპაციის წინაშე შიში, ჩემი შთაბეჭდილებით, საქართველოში ძალიან დიდია.

ასოცირების შეთანხმების ჩვენთვის საინტერესო პასაჟები მოიპოვება მესამე თავის მე-17-21-ე მუხლებში. მე-17 მუხლის თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს, ორგანიზებული დანაშაულის, უპირველეს ყოვლისა ტრეფიკინგის, ინტერნეტ-დანაშაულისა და კორუფციის სფეროში, კერძოდ, ტრანსნაციონალური მიმართულებით და ევროკავშირის ინსტიტუციებთან თანამშრომლობით. იგივე დებულებები მოქმედებს უკანონოდ მოპოვებულ ნარკოტიკებთან მიმართებით. ასოცირების ხელშეკრულების მე-19 მუხლი საქართველოს ავალდებულებს ასევე ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას, მონაცემთა გაცვლას საქართველოსა და ევროკავშირს შორის. მე-20 მუხლი კიდევ ერთხელ ეხება ტერორიზმის ასპექტს და შეიცავს საქართველოს ვალდებულებას, ტერორისტული დანაშაულების დასჯა ევროკავშირის 2008 წლის ჩარჩო გადაწყვეტილების დეფინიციის შესაბამისად მოახდინოს, რაც დასჯადობის შესახებ ვალდებულებას გულისხმობს.

სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარება ნახსენებია ხელშეკრულების 21-ე მუხლის მეორე აბზაცში. აქ ხელშემკვრელი მხარეები მიისწრაფიან თანამშრომლობის გაუმჯობესებისკენ ურთიერთდახმარების საკითხში შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. აქვე მიეთითება იმაზეც, რომ აღნიშნული გაეროს და ევროსაბჭოს შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებას და მათ იმპლემენტაციას, ასევე Eurojust-სთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს. დაპატიმრების შესახებ ევროპული ბრძანება მოქმედებს ევროკავშირის გარეთაც, რაც იმას ნიშნავს, რომ დაპატიმრების შესახებ ბრძანება ევროპის მასშტაბით დიდი პრობლემების გარეშე გამარტივებული და დაჩქარებული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენით აღსრულდება. სხვა მტკიცებულებებთან დაკავშირებით ზომების მიღება ტრანსნაციონალურ სისხლის სამართალში ასევე არსებითადაც გამარტივდა. მომდევნო დიდი ნაბიჯია გამოძიების შესახებ ევროპული აქტი, რომელიც ამასობაში გერმანიაში ძალაში შევიდა[24] და ამის შესახებ ხვალ ბატონი ფრანც-პეტერ ჰელბიგი და ზეგ პროფესორი მარტინ ჰეგერი გააკეთებენ მოხსენებას. ამასთან, ბატონი გიორგი მირიანიშვილი, ასევე დოქტორანტურის სტიპენდიანტი ამ პროექტის ფარგლებში, ხვალ ისაუბრებს ასოცირების შეთანხმების ურთიერთმიმართებაზე ევროკავ-

[23] სისხლის სამართლის მეორე გერმანულ-ქართული პროექტის ქართველი პარტნიორი პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, ავტორთან საუბრის დროს.

[24] იხ. ევროპული პროკურატურის შექმნის შესახებ რეგულაციის პროექტი (COM/2013/0534 final, ხელმისაწვდომი: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:52013PC0534). მომავალი ევროპული პროკურატურის სტრუქტურასთან დაკავშირებით *Böse*, JZ 2017, S. 82 და დაწვრილებით *Jähnke/Schramm*, Europäisches Strafrecht, 2017, Kapitel 12, Rn. 31 ff.

შირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან საქართველოსთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ბატონი მირიანიშვილი იკვლევს თემას – ადამიანის უფლებების სტანდარტი ევროსაბჭოსა და ევროკავშირის დირექტივებსა და ჩარჩო გადაწყვეტილებებში.

დასასრულისკენ, მსურს კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ევროკავშირის ფინანსური ინტერესების სისხლისსამართლებრივ დაცვას. ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველო ევროკავშირისგან იღებს ფინანსურ დახმარებას, რაც ამ მომენტისთვის 100 მილიონ ევროს შეადგენს. როდესაც ამ ოდენობის თანხაზეა საუბარი, ყოველთვის არსებობს რისკი თაღლითური საშუალებებით თანხის არამიზნობრივი გამოყენებისა და კორუფციის შესახებ. ეს ასეა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ასოცირების ხელშეკრულების XXXIV დანართში საქართველომ აიღო ვალდებულება, ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის თაობაზე 1995 წლის შეთანხმების, ე.წ. PIF-კონვენციის იმპლემენტაცია მოახდინოს. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად მორიგ, სამართლებრივად ეპოქალურ ნაბიჯთან დაკავშირებით, კერძოდ, ევროპული პროკურატურის შექმნაში მონაწილეობას – საქართველო როგორც ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფო (ჯერჯერობით) თავისუფლად ვერ შეძლებს.

III. პერსპექტივა

სამართლის და სისხლის სამართლის ევროპეიზაცია და ინტერნაციონალიზაცია საქართველოშიც წინ მიიწევს. ეროვნული კანონმდებლობა სამართლებრივი გლობალიზაციის პროცესში ჩართვისთვის, რა თქმა უნდა, თავის ფასს იხდის, რაც განსაკუთრებული ისტორიული, სამართლებრივი ტრადიციების და ექსკლუზიური კანონშემოქმედების კომპეტენციის დაკარგვაში გამოიხატება. ამასთან, წარმოიშობა ჰიბრიდული სამართლის მსგავსი რამ, ეროვნული და ევროპული, ასევე საერთაშორისო სამართლის მახასიათებლების ნარევი, რომელიც არც ევროპული და არც ეროვნული სამართლის მასშტაბებით არ იზომება. ამის მაგალითია ევროპული დაპატიმრების ბრძანება, რომლის სამართლებრივი სტრუქტურა ევროპული ნორმებისა და ეროვნული კონსტიტუციით მის შესწორებას წარმოადგენს. კომპეტენციათა კონკურენცია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შორის, ასევე კონკურენცია ევროპის ძირითად უფლებათა ქარტიასა და გერმანიის ძირითადი კანონის ძირითად უფლებებს შორის აისახება ჰიბრიდულად ნორმათა ბევრ დარგში როგორც კონსტიტუციურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თუ რამდენად უნდა მოხდეს ევროპულ და საერთაშორისო დებულებებზე მორგება, გერმანიაში მუდმივი და დიდი განხილვის საგანია კანონშემოქმედებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის დისკუსიაში.

აქვე შეუძლებელია საკმარისად იმის ხაზგასმა, რომ ადრეული ევროკავშირის მესამე სვეტის ძველი ჩარჩო გადაწყვეტილებები და დირექტივები საკმარის სივრცეს ტოვებს ეროვნული სამართლებრივი ტრადიციების შენარჩუნებისთვის. მაგალითისთვის, უკვე ხსენებული 2008 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომლის იმპლემენტაციაც საქართველოს ასევე ევალება, მიუთითებს, რომ ტერორისტულ გაერთიანებისთვის გადაბირება სისხლისსამართლებრივად დასჯადი უნდა იყოს.[25] გადაბირება განიმარტება, როგორც გაერთიანების მიზნებისთვის ყველა ფორმის რეკლამირება. ამის მიხედვით, დასჯადობისთვის უკვე საკმარისი იქნებოდა, თუ იენაში სტუდენტი ატარებდა მაისურს წარწერით: ISIS – Islamic State of Iraq, გარშემორტყმული ტყვიამფრქვევით და პროპაგანდისტული არაბული წარწერით. ამის მიუხედავად ამ შემთხვევაში ხომ მხოლოდ უხეშ უგემოვნობასთან გვაქვს საქმე, რომლის ატანაც სტაბილურ საზოგადოებას შეუძლია და რომლისგან თავის დაცვაც კრიმინალიზებისგან განსხვავებული საშუალებებით უნდა მოხდეს? აქედან გამომდინარე, რეკლამირება უფრო ვიწროდ განიმარტება, ვიდრე ტერორისტული გაერთიანების წევრის ან დამხმარის გადაბირება. გადაბირების ვიწრო ინტერპრეტაცია, რომელიც სიმპათიის გამომხატველ რეკლამირებას გამორიცხავს, შეესაბამება გერმანიაში 2002 წლიდან მოქმედ საკანონმდებლო მოწესრი-

[25] საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის 2008/919/JI ჩარჩო გადაწყვეტილება, (ხელმისაწვდომი: http://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/?uri=celex%3A32008F0919), რომელიც თავის მხრივ 2002 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაზეა აგებული.

გებას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის §129ა-ს მე-5 აბზაცშია მოცემული.[26] კანონის ეს ლიბერალური რედაქცია მიღებულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცხადი იყო ევროპულ-სამართლებრივი დებულება გადაბირების სისხლის-სამართლებრივი დასჯადობის შესახებ, თუმცა ევროკავშირის დებულებასთან წინააღმდეგობა მაინც ვერ იქნა დანახული.[27] მოცემულ შემთხვევაში, ვინც ლიბერალურ მოსაზრებას ემხრობა, შეუძლია შესაბამისი საფუძვლებით და ევროკავშირის დებულებებთან აბსოლუტურად შეთანხმებულად მეტად ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკას დაუჭიროს მხარი და უბრალო სიმპათიის შემცველი დამოკიდებულება სისხლისსამართლებრივ დასჯადობას არ დაუქვემდებაროს. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის დებულებების იმპლემენტაციასთან მიმართებით გერმანული კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში ისეთივე კითხვებისა და გამოწვევების წინაშე დგას, როგორც საქართველო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შემდგომშიც განვაგრძოთ ქართულ-გერმანული მეცნიერული დიალოგი ყველა ამ საკითხის გარშემო, სამართლებრივი პრობლემების შედარებით და თანაბარ დონეზე ინფორმაციის გაცვლით.

[26] *Heger*, in: Lackner/Kühl, StGB, 28. Aufl. 2014, § 129 a Rn. 4 m.w.N.

[27] ამის თაობაზე საფუძვლიანად *Schäfer*, in: Münchener Kommentar zum StGB, 3. Aufl. 2017, § 129 a Rn. 57 i.V.m. § 129 Rn. 96 ff.

ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით

დოქტორანტი ***გიორგი მირიანაშვილი***, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

ევროპულ კავშირში სრული ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ მიზანს. წლების განმავლობაში კავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა, რაც ძირითად შემთხვევაში გულისხმობდა საქართველოს მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას. თუმცა, ასოცირების შესახებ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის თანამშრომლობა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და გასცდა სამეზობლო პოლიტიკის ფორმატს. ევროპულ კავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებით საქართველოს გააჩნია უფრო ხელშესახები პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სარგებლის მიღების პერსპექტივა. გარდა იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველოსა და კავშირს შორის გაძლიერდა პოლიტიკური დიალოგი, აგრეთვე გაჩნდა ეროვნული სამართლებრივი სისტემის ევროპული კავშირის სამართლის სტანდარტებთან დაახლოების შესაძლებლობა. ასოცირების შესახებ შეთანხმება როგორც მულტისექტორული საერთაშორისო ხელშეკრულება მხარეებს შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს მრავალი დარგის, სფეროს, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეების, მიმართულებით. თუმცა ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების ორგანოების თანამშრომლობა, როგორც მიზნის, აგრეთვე ფარგლების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს ევროპული კავშირის სამართლის მიზნებისთვის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოებს შორის თანამშრომლობის ეკვივალენტურ მოდელს. მას გააჩნია შეზღუდული ხასიათი. იგი ამ მიმართულებით არ ითვალისწინებს კავშირის წევრ სახელმწიფოთა და საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოებას, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაზე ორმხრივი აღიარების პრინციპისა და ორმხრივი ნდობის პრინციპის გავრცელებას. გარდა ამისა, ასოცირების შესახებ შეთანხმება სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის გაძლიერებას განიხილავს ევროპის საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული სამართლებრივი ინსტრუმენტების ფარგლებში.

წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს კავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის ასოცირების შესახებ შეთანხმებით დადგენილი მოდელი და შეაფასოს ამ სფეროში თანამშრომლობის ფარგლები.

II. ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობა

თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს ევროპული კავშირის დონეზე იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში. ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის პროცესში გამოიყენება ე.წ. მთავრობათაშორისი მეთოდი[1], რომელშიც მსგავსად საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსა, არ გამოიყენება სუპრანაციონალური თანამშრომ-

[1] მთავრობათაშორისი თანამშრომლობის მეთოდზე ვრცლად იხ.: *მირიანაშვილი, გიორგი,* ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი, 2015, გვ. 79-81.

ლობის ფორმატი. ამ მიმართულებით თანამშრომლობის მიზანია, ერთი მხრივ, ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით წევრი სახელმწიფოების რესურსების გაერთიანება, საერთო ინსტიტუციური, სამართლებრივი მექანიზმების ფორმირება და, მეორე მხრივ, ევროპული კავშირის მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში გულისხმობს თანამშრომლობას:

- ეროვნულ სამართალდამცავ ორგანოებს შორის;
- სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ეროვნულ ორგანოებს შორის;
- სახელმწიფო საზღვრის დაცვის ეროვნულ ორგანოებს შორის;
- ეროვნულ სასამართლო ორგანოებს შორის.

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის პროცესში, ერთი მხრივ, ხორციელდება წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის აპროქსიმაცია და მეორე მხრივ, მოქმედებს ე.წ. ორმხრივი აღიარების პრინციპი, რომელიც კავშირის წევრ ქვეყანას აკისრებს სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოების გადაწყვეტილებების, განჩინებების, ბრძანებების აღიარების ვალდებულებას.

სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით ევროპულ პარლამენტსა და ევროპული კავშირის საბჭოს ორდინარული საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში ეკისრებათ დირექტივების მიღების ვალდებულება, რომლებიც დაკავშირებული იქნება:

- კავშირის ფარგლებში სასამართლოს ყველა სახის გადაწყვეტილებისა და განჩინების აღიარების უზრუნველყოფის მიზნით წესებისა და პროცედურების დადგენასთან;
- წევრ სახელმწიფოთა შორის იურისდიქციასთან დაკავშირებული კონფლიქტის პრევენციასთან და გადაწყვეტასთან;
- მოსამართლეებისა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების გადამზადებასთან;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის მიზნით წევრ სახელმწიფოების სასამართლოებს შორის თანამშრომლობის გამარტივებასთან.

გამომდინარე იქიდან, რომ იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობას გააჩნია ტრანსსასაზღვრო ხასიათი, ევროპული პარლამენტი და ევროპული კავშირის საბჭო უფლებამოსილია ორდინარული საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში მიიღონ დირექტივები, რომლებიც შესაძლებელია ეხებოდეს:

- წევრ სახელმწიფოებში მტკიცებულებების დასაშვებობას;
- სისხლის სამართლის პროცესში ინდივიდების უფლებებს;
- დაზარალებულთა უფლებებს;
- სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, რომლის იდენტიფიცირებას დირექტივის მიღებამდე გადაწყვეტილებით განახორციელებს კავშირის საბჭო ევროპული პარლამენტის თანხმობის საფუძველზე.

ორმხრივი აღიარების პრინციპის მიხედვით, კავშირის ერთი წევრი სახელმწიფო ვალდებულია სისხლის სამართლის საქმეზე აღმოუჩინოს მაქსიმალური სამართლებრივი დახმარება კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოს[2], თუმცა ამ პროცესში იგი უზრუნველყოფს კავშირის წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემის სუბსტანციური ნაწილის ხელშეუხებლობას. ორმხრივი აღიარების პრინციპი გულისხმობს ეროვნულ სასამართლოებს შორის ორმხრივ ნდობასა და ლოიალური თანამშრომლობის ვალდებულებას[3]. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ორმხრივი ნდობა წარმოადგენს კავშირის სამართლის კონსტიტუციური ხასიათის პრინციპს[4], რომე-

[2] *Borgers, Matthias J.,* Mutual recognition and the European Court of Justice, European Journal of Crime, Criminal Law and Criminology, 2010, გვ. 1 (ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1593463) (უკანასკნელად ნანახია: 17.06.2017).

[3] იხ.: *L. Bay Larsen*, Some Reflections on Mutual Recognition in the Area of Freedom, Security and Justice, სტატიათა კრებულში: *Cardonnel, Pascal, Rosas, Allan, Wahl, Nils*, (eds.), Constitutionalising the EU Judicial System: Essays in Honour of Pernilla Lindh (Oxford: Hart Publishing) 2012, გვ. 148.

[4] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: N. S. and others v the United Kingdom (C-411/10, C-493/10), [2011], 83-ე პარაგრაფი

ლიც მიზნად ისახავს კავშირის ფარგლებში იმგვარი სივრცის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, რომელსაც არ ექნება შიდა, ეროვნული საზღვრები[5], სადაც იარსებებს ყველა წევრ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კავშირის სამართლის შესაბამისად დაცვის პრეზუმფცია[6] და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტანდარტის გამოყენებით საფრთხე არ შეექმნება კავშირის დონეზე ფორმირებული სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ინსტრუმენტის ეფექტიან რეალიზაციას[7].

III. ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით

ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლის ფარგლებში მხარეებმა (იგულისხმება მხოლოდ საქართველო და კავშირის წევრი სახელმწიფოები) იკისრეს სისხლისსამართლებრივ საკითხებზე სასამართლოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ვალდებულება, რაც რეალიზებული იქნება შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება გაეროსა და ევროპის საბჭოს შესაბამის საერთაშორისო აქტებთან მიერთება და მათი იმპლემენტაცია, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობა[8]. ასოცირების შესახებ შეთანხმება პირდაპირ არ ითვალისწინებს არა მხოლოდ საქართველოსა და კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სასამართლო აქტების ორმხრივად აღიარების პრინციპს, აგრეთვე კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოების მექანიზმს. გარდა ამისა, არაპირდაპირაც შეუძლებელია ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მხარეებს შორის მოაზრებული სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლების გაზრდა. შესაძლოა ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლში ნახსენები სიტყვების – „შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებები“ – გრამატიკული ან ტელეოლოგიური მეთოდით იმგვარი ინტერპრეტაცია განხორციელდეს, რომ შეიქმნას ორმხრივი აღიარების პრინციპისა და მხარეებს შორის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოების მატერიალური საფუძველი კავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის შეთანხმების დადების გზით. თუმცა, ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლის ასეთი განმარტება შეუსაბამო იქნება ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლთან, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე ეროვნულ სასამართლოებს შორის თანამშრომლობის პროცესში ორმხრივი აღიარების პრინციპსა და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოებას მხოლოდ ევროპული კავშირის ფარგლებში ითვალისწინებს. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, ორმხრივი აღიარების პრინციპი დაკავშირებულია კავშირის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპთან – ორმხრივ ნდობასთან, რომელიც კავშირის დონეზე, მათ შორის თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და

(ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62010CJ0411&from=EN) (უკანასკნელად ნანახია: 17.06.2017).

[5] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Opinion 2/13 pursuant to Article 218 (11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, [2014], 191-ე პარაგრაფი (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=160882&doclang=), (უკანასკნელად ნანახია: 17.06.2017).

[6] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: N. S. and others v the United Kingdom (C-411/10, C-493/10), [2011], 78-ე–80-ე პარაგრაფები (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62010CJ0411&from=EN), (უკანასკნელად ნანახია: 17.06.2017).

[7] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v Ministerio Fiscal (C-399/11), [2013], მე-60 პარაგრაფი (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=134203&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=854463), (უკანასკნელად ნანახია: 17.06.2017).

[8] აღსანიშნავია, რომ ევროპული კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ უკრაინასთან და მოლოდვასთან დადებული ასოცირების შეთანხმებები შეიცავენ აბსოლუტურად იდენტური შინაარსის ნორმებს ამ მიმართულებით კოოპერაციასთან დაკავშირებით.

უსაფრთხოების სფეროში კავშირის წევრ სახელმწიფოს აკისრებს მხოლოდ სხვა წევრ ქვეყანასთან ლოიალურად თანამშრომლობის ვალდებულებას.[9]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება არ ქმნის კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის ევროპული კავშირის სამართლებრივ ჩარჩოს.

IV. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხორციელებული მსჯელობიდან ცალსახაა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში დასახული ამოცანა – გაძლიერდეს კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის თანამშრომლობა – რეალიზებული იქნება რეგიონულ და საერთაშორისო მრავალმხრივი სამართლებრივი ინსტრუმენტების საფუძველზე, რომელიც წარმოებული არ იქნება ევროპული კავშირის როგორც პირველადი, აგრეთვე მეორადი სამართლისგან. აქედან გამომდინარე, ასოცირების შესახებ შეთანხმებას საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაზე გააჩნია ლიმიტირებული ეფექტი. იგი არ წარმოადგენს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კავშირის სამართლებრივ წესრიგთან დაახლოების ინსტრუმენტს, აგრეთვე კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოების აქტების ორმხრივად აღიარების საფუძველს. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის აბსოლუტური ევროპეიზაცია, საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ აღიარება პირდაპირ დაკავშირებულია ევროპულ კავშირში საქართველოს გაწევრიანებასთან.

[9] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Opinion 2/13 pursuant to Article 218 (11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, [2014], 173-ე პარაგრაფი (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=160882&doclang=), (უკანასკნელად ნანახია: 17.06.2017).

ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება – ქართული სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები

დოქტორანტი ***თამარ გეგეშიძე***, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

ბოლო ათწლეულების ტექნიკური პროგრესის ფონზე კერძო პირებს შორის ურთიერთობამ ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, როგორიცაა ინტერნეტი, მობილური სმარტფონები, Wi-Fi ტექნოლოგია, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა[1]. კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების დახვეწის შედეგად თანამედროვე ელექტროკავშირგაბმულობის ქსელები და მოწყობილობები იძლევიან დროის უმოკლეს მონაკვეთში დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან დიდ მანძილზე ნებისმიერი სახის ინფორმაციის გადაცემის, გავრცელების ან მიღების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, აფართოებს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობებს ელექტრონული მეთვალყურეობის სფეროში. პირადი ცხოვრების დაცვა ელექტრონული დაკვირვების განხორციელების პროცესში არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული სახელმწიფოს პრობლემა, არამედ დიდი ხანია გლობალური ხასიათი შეიძინა. ინტერნეტ სივრცეში საზღვრების არარსებობა და თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ტემპი თანდათანობით მეტი გამოწვევის წინაშე აყენებს საერთაშორისო საზოგადოებას და საკითხი საერთაშორისო დონეზე მუდმივ აქტუალურობას ინარჩუნებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვის პროცესი, რომლის ფარგლებშიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულია ასოცირების შეთანხმება. შეთანხმებით საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა წინამდებარე შეთანხმების I დანართში მითითებული ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ფარული ელექტრონული მეთვალყურეობის სფეროში არსებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება მოცემულ სფეროში დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტები, აღნიშნული საკითხის გარშემო საქართველოში წამოჭრილი პრობლემური სამართლებრივი საკითხები და ამ მიმართულებით კანონმდებლობაში განხორციელებული ნოვაციები.

II. ელექტრონული მეთვალყურეობის მიმართულებით ქართულ კანომდებლობაში განხორციელებული ნოვაციები

აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების უფლება საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტიაა. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირადი ჩანაწერის, სატელეფონო საუბრის, მიმოწერის და ტექნიკური საშუალებებით გადაცემული შეტყობინებების ხელშეუხებლობას და მის შეზღუდვას ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

მოცემულმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა საქართველოში. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს

[1] „The right to privacy in the digital age“, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights; 2014, 3 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session27/Documents/A.HRC.27.37_en.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 20.04.2017).

კანონი, რომელიც 2014 წლის აგვისტომდე არეგულირებდა მოცემული ღონისძიების ჩატარების წესსა და პროცედურას, ითვალისწინებდა ადამიანის უფლებების დაცვის დაბალ სტანდარტებს, რის გამოც დიდ პრობლემებს ქმნიდა საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საკანონმდებლო პაკეტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელმაც ძირეულად გარდაქმნა მოცემული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა და გაითვალისწინა გაცილებით მეტი გარანტიები ადამიანის უფლებების დასაცავად. განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში[2] არაერთი ნოვაცია განხორციელდა; კოდექსს დაემატა ახალი თავი – ფარული საგამოძიებო მოქმედებები. აღნიშნულ თავში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვების მიმართულებით შემდეგი მოქმედებები არის გათვალისწინებული:

- სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
- ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია.

ცვლილებების შედეგად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების და ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგის ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების სახით, ანუ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყება გამოძიება და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული იქნა ჩადენილი. აგრეთვე განისაზღვრა რომელ დანაშაულთა შემთხვევაში არის დასაშვები აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება და შეიზღუდა დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია მათი განხორციელება. ასევე კანონმდებლობამ შეზღუდა და დააკონკრეტა პირთა წრე, რომელთა მიმართაც გამოიყენება მოცემული ღონისძიება. გათვალისწინებული იქნა პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის დაცვის საჭიროება ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმართვის დროს, რაც ნიშნავს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ამასთან, თუკი არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული და აუცილებელი საშუალება და მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. გარდა აღნიშნულისა, ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა პასუხობდეს მინიმიზაციის მოთხოვნას, რაც გულისხმობს, რომ მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს იმ პირის კომუნიკაციის მონიტორინგი, რომელსაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვს. განისაზღვრა ასევე ღონისძიების ჩატარების საკმაოდ მკაცრი ვადები, თავდაპირველი ხანგრძლივობა შეადგენს ერთ თვეს, რომლის გაგრძელება შესაძლებელია მაქსიმუმ ორჯერ. დადგინდა ღონისძიების ჩატარების დეტალური პროცედურა, აგრეთვე ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების და შენახვის წესი. ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ მისი ადრესატისათვის შეტყობინების ვალდებულების სამართლებრივი რეგლამენტაცია საპროცესო კოდექსში.

III. საქართველოს კანონმდებლობაში წამოჭრილი პრობლემური საკითხები

1. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ კავშირგაბმულობის არხებთან პირდაპირი მიერთების შესაძლებლობა

აღსანიშნავია, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები კიდევ ერთხელ მძაფრად წამოჭრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებამ, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო მოცემული სფეროს მარეგულირებელი რამდენიმე ფუნდამენტური დებულება, კერძოდ, საკონსტიტუ-

[2] ტექსტში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შემოკლებულია როგორც სსსკ.

ციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ჰქონოდა კავშირგაბმულობის საშუალებებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა და ამ მიზნით კომუნიკაციის საშუალებებთან განეთავსებინა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა, სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები.[3]

ქართული რეგულაციების არაკონსტიტუციურად ცნობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კავშირგაბმულობის არხებთან პირდაპირი მიერთების შესაძლებლობით აღჭურვილი იყო „პროფესიულად დაინტერესებული ორგანო“[4] – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იყო წარმატებულ გამოძიებაზე, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, „განუზომლად ზრდიდა ცდუნებას და რისკებს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევისათვის“.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ კავშირგაბმულობის არხებთან პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა უკვე გახდა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი საქმეში Zakharov v. Russia. სასამართლომ მიიჩნია, რომ „სისტემა, რომელიც უსაფრთხოების სამსახურებსა და პოლიციას შესაძლებლობას აძლევს, კომუნიკაციის პროვაიდერებისათვის ან სხვა უფლებამოსილი პირებისათვის შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე, უშუალოდ ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერი მოქალაქის კომუნიკაციის საშუალებებზე, განსაკუთრებით მიდრეკილია უფლების ბოროტად გამოყენებისკენ. შესაბამისად, საჭიროებს უფლების დაცვის განსაკუთრებით ძლიერი გარანტიების არსებობას, რომლის კონტექსტშიც ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობა უნდა იქნეს შეფასებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის მონიტორინგის კანონიერად განხორციელება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე“.[5]

არსებული სისტემის პირობებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა „პროცესის დამაჯერებელი გამჭვირვალობისა და კონტროლის მექანიზმების“ აუცილებლობას საკანონმდებლო დონეზე[6]. აღსანიშნავია, რომ ფარული ელექტრონული დაკვირვების ღონისძიებებზე ზედამხედველობა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ და ამავე დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე. უფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიები დამოუკიდებელი ორგანოს კონტროლის გარეშე არაეფექტიანად არის აღიარებული საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გარანტიები შესაძლოა მრავალფეროვან წესებში გამოიხატოს, ხელისუფლების ყველა შტოს, მათ შორის, დამოუკიდებელი ორგანოს ჩართულობა ზედამხედველობის პროცესში უფლების დაცვის ფუნდამენტურ გარანტიად ითვლება[7].

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N1/1/625, 640, 16.04.2016, 73, 74 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page) (უკანასკნელად ნანახია: 15.04.2017).

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N1/1/625, 640, 16.04.2016, 63 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page) (უკანასკნელად ნანახია: 15.04.2017).

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Roman Zakharov v. Russia, N47143/06, 04.12.2015; პარაგ. 270-271 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159324) (უკანასკნელად ნანახია: 14.04.2017).

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N1/1/625, 640, 16.04.2016, 44-45 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page) (უკანასკნელად ნანახია: 15.04.2017).

[7] „The right to privacy in the digital age“, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights; 2014, 12-13 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session27/Documents/A.HRC.27.37_en.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 20.04.2017).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ როგორც სატელეფონო მოსმენებთან, ასევე ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგის ღონისძიებასთან დაკავშირებული კონტროლის ბერკეტები არაეფექტიანად მიიჩნია. სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით სასამართლოს უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ არსებული კანონმდებლობის პირობებში არ იყო გამორიცხული სატელეფონო მოსმენის წარმართვა ინსპექტორის გვერდის ავლით, ვინაიდან კანონმდებლობა უსაფრთხოების სამსახურს ანიჭებდა უფლებამოსილებას, გამოეყენებინა ისეთი ტექნიკური შესაძლებლობები, რომელთან დაკავშირებითაც ინსპექტორი კონტროლს ვერ განახორციელებდა[8]. რაც შეეხება ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგის ღონისძიებას, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების პროცესზე კანონმდებლობა ფაქტობრივად არ განსაზღვრავდა კონტროლის არანაირ მექანიზმს, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ინსპექტირების შესაძლებლობისა, რომელიც არაეფექტიანად იქნა მიჩნეული.

2. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შენახვა

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილებით წარმოჩენილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, ე.წ. მეტადატის შენახვას. აღნიშნული მონაცემები შეიცავს ინფორმაციას კომუნიკაციის წყაროს, თარიღის, ტიპის და ხანგრძლივობის, მომხმარებლის საკომუნიკაციო საშუალების, მისი ადგილმდებარეობის, რეგისტრირებული მომხმარებლის ვინაობის, ტელეფონის ნომრის, ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართის შესახებ. ამ მონაცემთა ანალიზის შედეგად შეიძლება გაირკვეს კონკრეტული პირის ვინაობა, ვისთანაც მომხმარებელმა დაამყარა კომუნიკაცია, ამგვარი კომუნიკაციის დრო და ადგილმდებარეობა, კომუნიკაციის სიხშირე დროის განსაზღვრულ პერიოდში[9]. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის ერთობლივი შეფასების საფუძველზე შესაძლებელია ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ დეტალური პროფილის შექმნა.[10]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „მონაცემთა შენახვის შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაცია, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა. დირექტივის იმპლემენტაციის შედეგად, ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრა ნორმები ამგვარ მონაცემთა 2 წლის ვადით შენახვასთან დაკავშირებით, მონაცემთა კოპირების უფლებამოსილებით კი აღიჭურვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აღჭურვას როგორც ტექნიკური შესაძლებლობით, ისე უშუალო უფლებამოსილებით, მოახდინა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და 2 წლამდე ვადით შენახვა. არაკონსტიტუციურობის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ კანონმდებლობამ „გამოძიებაზე პასუხისმგებელი“ და „პროფესიულად დაინტერესებული ორგანო“ – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღჭურვა ასეთი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციასთან შეუზღუდავი წვდომის უფლე-

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N1/1/625, 640, 16.04.2016, 49-50 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page) (უკანასკნელად ნანახია: 15.04.2017).

[9] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთობლივი გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ირლანდიის ციფრული უფლებები და სეიტლინგერი და სხვები“, NC-293/12, C-594/12, 2014, პარაგ. 26 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=150642&doclang=EN) (უკანასკნელად ნანახია: 19.04.2017).

[10] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთობლივი გადაწყვეტილება, NC-203/15, C-698/15, 2016, პარაგ. 99 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=186492&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=544422) (უკანასკნელად ნანახია: 19.04.2017).

ბამოსილებით. ამასთან, ინფორმაციის შენახვა ორი წლის ვადით, აბსოლუტურად თითოეული პიროვნების შესახებ, ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე ადამიანის პირად ცხოვრებაში ძალიან მაღალი ინტენსივობით ჩარევად ჩათვალა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე მონაცემთა შენახვის პროცესზე ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე. მისი შეფასებით, მართალია, კანონი შენახულ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე გამოძიების ორგანოს ხელმისაწვდომობისთვის წინაპირობად ითვალისწინებდა მოსამართლის ბრძანებას ან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილებას, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არსებობდა კონტროლის მექანიზმი თავად ინფორმაციის კოპირების და შედეგად, მისი მოპოვების პროცესზე. ამ თვალსაზრისით, გამოიკვეთა, რომ ტექნიკურად შესაძლებელი იყო, მაიდენტიფიცირებელი მონაცემის კოპირების და შენახვის პროცესში შექმნილიყო ე.წ. „ალტერნატიული ბანკი, რომლის არსებობის შესახებ შესაძლოა არავინ იცოდეს და მასზე დაშვება არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ჰქონდეს“.[11]

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შენახვა საერთაშორისო დონეზეც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს განეკუთვნება. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შენახვის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო და ნათელ წესებს, მონაცემთა შენახვის მასშტაბთან და გამოყენების ფარგლებთან მიმართებაში. სასამართლოს აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ეროვნულ კანონმდებლობაში ობიექტური კრიტერიუმის არსებობა, რომლის მიხედვითაც დადგინდება კავშირი შესანახ მონაცემებსა და მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანს შორის და გამოიკვეთება პირები, რომელთა შესახებ მონაცემებს შესაძლოა კავშირი (თუნდაც არაპირდაპირი) ჰქონდეთ სერიოზულ დანაშაულთან და რაიმე ფორმით წვლილი შეიტანონ ასეთ დანაშაულთან ბრძოლის ან საზოგადოების მიმართ სერიოზული საფრთხის აცილების საქმეში. სასამართლო კიდევ უფრო მკაცრია, როდესაც საქმე აღნიშნულ მონაცემებზე წვდომას ეხება – სამართალდამცავი ორგანოების დაშვება, როგორც წესი, დასაშვებია იმ პირთა მონაცემებზე, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი სერიოზული დანაშაულის დაგეგმვის, ჩადენის ან ასეთ დანაშაულში რაიმე გზით მონაწილეობის შესახებ.[12]

IV. ახალი საკანონმდებლო ცვლილებები ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებთან დაკავშირებით

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 22 მარტს მიიღო ახალი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ახლებურად არეგულირებს არაერთ საკითხს ამ სფეროში. საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც მდგომარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ტექნიკურად აღსრულებაში დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, შეიქმნა ახალი უწყება – ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო, რომელიც ტექნიკურად უზრუნველყოფს ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელებას და არ არის აღჭურვილი საგამოძიებო ფუნქციებით. აღნიშნული ორგანო შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის ქვეშ. როგორ წარიმართება მომავალში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ტექნიკური აღსრულების პროცესი და რამდენად შეძლებს ახლადშექმნილი უწყება საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნების გათვალისწინებას, პრაქტიკაში გამოვლინდება.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N1/1/625, 640, 16.04.2016, 64-65 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page) (უკანასკნელად ნანახია: 15.04.2017).

[12] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთობლივი გადაწყვეტილება, NC-203/15, C-698/15, 2016, პარაგ. 109-111, 119 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=186492&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=544422) (უკანასკნელად ნანახია: 19.04.2017).

ცვლილებების მიხედვით, ფარული მიყურადების ღონისძიებასთან დაკავშირებით მისასალმებელ სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზუსტდება, თუ რომელ ტექნიკურ შესაძლებლობებს გამოიყენებს სააგენტო აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად, კერძოდ, სატელეფონო მოსმენის განსახორციელებლად ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ გადაცემული კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონალური ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა ან/და მასთან დაკავშირებული/მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები. გარდა აღნიშნულისა, ნოვაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ინსპექტორს ღონისძიების დაწყებაზე თანხმობის გაცემის ნაცვლად, ექნება ღონისძიების მიმდინარეობის შეჩერების უფლებამოსილება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგალითად, თუკი არ მიეწოდა სასამართლოს ნებართვის ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ღონისძიების ჩატარებისას პროკურორის დადგენილების ეგზემპლარი ელექტრონული და მატერიალური სახით.

საერთო ჯამში, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებზე ზედამხედველობის მექანიზმთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმები, ძირითადად, ეხება საწყის ეტაპს, ანუ როდესაც ხდება ამ ღონისძიების დაწყება, ინსპექტორის ზედამხედველობაც ძირითადად ამ ღონისძიების ჩატარების საფუძვლების კანონიერების შემოწმებაში გამოიხატება, საუკეთესო გამოსავალი ამ ღონისძიების მთელ პროცესზე ეფექტიანი ზედამხედველობის განსახორციელებლად სასამართლოს ჩართულობა შეიძლება იყოს. დღესდღეობით სასამართლოს საზედამხედველო როლი ძირითადად ღონისძიების ჩატარების საწყის ეტაპზე მონაწილეობაში და შემდგომში მისი გაგრძელების საკითხის გადაწყვეტაში მდგომარეობს, მართალია, კანონმდებლობით არის გათვალისწინებული გარკვეული გარანტიები, მაგალითად, მისი მონაწილეობა მოპოვებული მასალის განადგურების პროცედურაში, თუმცა საერთო ჯამში, სსსკ-ით უზრუნველყოფილი შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ნაკლებად ერევა ღონისძიების აღსრულების მთლიან პროცესში, მაგალითად, მისი მიმდინარეობის დროს ან დასრულების შემდგომ, რაც განაპირობებს სირთულეებს ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებზე ზედამხედველობის საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვას, ცვლილებების მიხედვით, შენახვის ვადა მცირდება 12 თვემდე. მისი გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს სამი თვით მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისების არსებობისას. მეტადატის შენახვის ვადასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მართალია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ე.წ. მონაცემთა შენახვის შესახებ დირექტივით გათვალისწინებული ვადა – მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 2 წელი, არაპროპორციულად მიიჩნია, მაგრამ არც 2014 და არც 2016 წლების გადაწყვეტილებებში შენახვის კონკრეტული ვადა არ დაუდგენია, ამიტომ ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, მონაცემთა შენახვის რა კონკრეტული ვადა ჩაითვლება პროპორციულად საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მოთხოვნა ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა უნდა პასუხობდეს აუცილებლობის მოთხოვნას.[13]

ზედამხედველობის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომუნიკაციის მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის სისტემის მეშვეობით მოხდება მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების ლოგირების მონაცემების და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების ინსპექტორისთვის რეალურ დროში მიწოდება. რაც შეეხება ე.წ. „ალტერნატიული ბანკის“ წარმოების თეორიულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, აღნიშნული საფრთხის გამორიცხვა მთლიანად არის დამოკიდებული იმ ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხზე, რომელიც მონაცემთა

[13] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთობლივი გადაწყვეტილება, NC-203/15, C-698/15, 2016, პარაგ. 108 (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=186492&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=544422) (უკანასკნელად ნანახია: 19.04.2017).

ბაზების კოპირებას მოახდენს, ვინაიდან ასეთი ორგანოს მიუკერძოებლობა, ასეთი ბანკის შექმნის თეორიულ რისკს ამცირებს.

V. დასკვნა

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს რეალობაში წამოჭრილი ძირითადი პრობლემა უკავშირდება სახელმწიფოს ტექნიკურ შესაძლებლობებს, რაც კავშირგაბმულობის არხებთან პირდაპირი მიერთების შესაძლებლობაში გამოიხატება, რომელიც უნდა დააბალანსოს იმ ორგანოს დამოუკიდებლობამ, რომელიც ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების ტექნიკურ აღსრულებას მოახდენს. უდავოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ბოლო დროს გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაზრდის მიზნით, თუმცა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და პროცესუალური მიზნით გამოყენება იყო და კვლავაც დარჩება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და რთულ საკითხად სისხლის სამართლის პროცესში. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო დონეზე მოცემულ სფეროში უფლების დაცვის ინსტრუმენტების გაძლიერების ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს, საქართველომაც თავის მხრივ, ფეხი უნდა აუწყოს ევროპაში მიმდინარე პროცესებს. ამ თვალსაზრისით აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტთან დაახლოების მიზნით.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით

დოქტორანტი ***ხატია თანდილაშვილი***, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დაცვას ბოლო წლებში ევროპულ დონეზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ევროპის კავშირმა 2001 წელს მიიღო 2001/220/JI ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ,[1] რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის კონკრეტული უფლებები და საჭიროებები. თუმცა ეროვნულ დონეზე სამართლებრივ ნორმებს შორის დიდი სხვაობისა და ცალკეული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ფონზე ვერ ხერხდებოდა იმ მიზნის მიღწევა, რომელიც დაზარალებულის უფლებების სფეროში სამართლის ჰარმონიზაციისაკენ იყო მიმართული.[2] დანაშაულის მსხვერპლის სათანადო დაცვისა და მისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ევროპულმა საბჭომ ევროპულ კომისიასა და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს დაავალა, საკითხის მიმართ შეემუშავებინათ ინტეგირირებული და კოორდინირებული მიდგომა, შეეფასებინათ დანაშაულის მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ ევროპის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/80/EG დირექტივა, ასევე ჩარჩო გადაწყვეტილება და გადაესინჯათ, არსებობდა თუ არა ორივე სამართლებრივი ინსტრუმენტის გაერთიანების გზით ერთიანი სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობა.[3] შედეგად, 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების, ასევე ჩარჩო გადაწყვეტილების ჩანაცვლების შესახებ დირექტივა 2012/29/EU,[4] რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა ჩარჩო გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებები.

ამავდროულად, 2004-2005 წლებში რეფორმების განხორციელების მიზნით, საქართველოში შემუშავდა სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სისხლის სამართლის მორგებას საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან. სისხლის სამართლის პროცესის სფეროში რეფორმები მიმართული იყო შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სფეროში ადამიანის უფლებების გაძლიერებისაკენ.[5] გარდა ამისა, 2014 წელს ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 217-ე მუხლის შესაბამისად, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელმაც მხარეებს შორის დაამკვიდრა „განსაკუთრებული და პრივილეგირებული ურთიერთობა“ და ასოცირებული სახელმწიფო ორგანიზაციის წევრობის გარეშე დაუკავშირა ევროპის კავშირის სისტემას.[6] შესაბამისად, საქართველომ იკისრა ვალდებულება, სხვადასხვა სფეროებში ითანამშრომლოს ევროპის კავშირსა და წევრ სახელმწიფოებთან და სისხლის

[1] ტექსტში შემოკლებულია როგორც ჩარჩო გადაწყვეტილება.

[2] Kommission der europäischen Gemeinschaften, Bericht der Kommission Kom (2009)166, S.11 (იხილეთ: http://ec.europa.eu/civiljustice/news/docs/succession_proposal_for_regulation_de.pdf – უკანასკნელად ნანახია: 18.06.2017).

[3] Europäischer Rat, Das Stockholmer Programm – ein offenes und sicheres Europa im Dienste und zum Schutz der Bürger (2010/C 115/01), S. 10 (იხილეთ: https://www.easo.europa.eu/sites/default/files/public/stockholmer-programm.pdf – უკანასკნელად ნანახია: 18.06.2017).

[4] ტექსტში შემოკლებულია როგორც დირექტივა.

[5] Criminal Justice Reform Inter-Agency Coordination Council, Criminal Justice Reform Strategy, 10th session of ICC, p. 4 (იხილეთ: http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2FCriminal_Justice_Reform_Strategy_ENG.pdf – უკანასკნელად ნანახია: 18.06.2017).

[6] *Oppermann/Classen/Nettesheim*, Europarecht, 7. Auflage, 2016, Rn 3-4.

სამართლის საპროცესო კოდექსის დახვეწისას, გაითვალისწინოს ევროპის კავშირის კანონმდებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო ვალდებულია მოახდინოს დირექტივის აღსრულებაც.

წინამდებარე სტატიაში დირექტივით განხორციელებული სიახლეები შედარებულ იქნება საქართველოში მოქმედ ნორმებთან და იქნება მცდელობა დადგინდეს, თუ რა მსგავსება და სხვაობა არსებობს მათ შორის და სად არის ჰარმონიზაციის საჭიროება. კერძოდ, განხილული იქნება დირექტივით განმტკიცებული ისეთი საკითხები, როგორიცაა დანაშაულის მსხვერპლის ცნება; უფლება – გესმოდეს და გააგებინო; ინფორმაციის მიღების უფლება, მათ შორის თარჯიმნის მომსახურებისა და დოკუმენტების თარგმნის მოთხოვნა; სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლება და მისგან გამომდინარე პროცესუალური უფლებები; ბოლოს კი განხილული იქნება დაზარალებულის საჭიროებების ინდივიდუალური შეფასების საკითხი.

II. 2012/29/EU დირექტივით დადგენილი სტრანდარტები

1. დანაშაულის მსხვერპლის ცნება

ჩარჩო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, რომელიც დანაშაულის მსხვერპლად მხოლოდ იმ ფიზიკურ პირს განიხილავდა, რომლის მიმართაც განხორციელდა დანაშაული, დირექტივაში დანაშაულის მსხვერპლთა წრე გაფართოებული სახით არის წარმოდგენილი. იგი ცნება „დანაშაულის მსპვერპლში“ მოიაზრებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს, რომელიც შეიძლება იყოს „ფიზიკური პირი, რომელმაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი ტკვილი ან ეკონომიკური დანაკარგი“ (მუხლი 2, პუქნტი „a“, ქვეპუნქტი „i“) ან „ოჯახის წევრი იმ პირისა, რომელიც უშუალოდ დანაშაულის შედეგად გარდაიცვალა და რომლის გარდაცვალებით პირს მიადგა ზიანი“ (მუხლი 2, პუქნტი „a“, ქვეპუნქტი „ii“). ამასთან, ზიანს მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, თუ გარდაცვლილსა და მის ნათესავს ერთმანეთთან მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ჰქონდათ ან ნათესავი ფინანსურად იყო დამოკიდებული გარდაცვლილზე.[7] დირექტივამ ნათესავების წრეც განსაზღვრა და მას მიაკუთვნა გარდაცვლილის მეუღლე; პირი, რომელსაც მსხვერპლთან მჭიდრო ინტუმური კავშირი ჰქონდა (მათ შორის ერთსქესიანთა კავშირი) და რომელთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეუობას; პირდაპირი ხაზის ნათესავები (მშობლები), და-ძმა და მსხვერპლის კმაყოფაზე მყოფი პირი.

აღსანიშნავია, რომ დირექტივა მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ და იგი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. თუმცა აღნიშნული გარემოება არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად, ვინაიდან დირექტივის მთავარი ამოცანაა დანაშაულის მსხვერპლის მეორადი და მესამედი ვიქტიმიზაციასგან, დაშინებისა და შურისძიებისგან დაცვა.[8] თუმცა, დირექტივა წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს, რომ დირექტივით დადგენილი სტანდარტები გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირთა მიმართ.

მოცემულ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულად შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება ენიჭება როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს. სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსის[9] მე-3 მუხლის 22-ე ნაწილით დაზარალებულად მიჩნეულია „სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად“, ხოლო სსსკ-ს 56-ე მუხლს მე-3 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი

[7] European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 10 (ჩამოტვირთა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: https://e-justice.europa.eu/home.do).

[8] *Bock, Stefanie,* Das europäische Opferrechtspaket: zwischen substantiellem Fortschritt und blindem Aktionismus Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2013, 201, 205; EuGH, C-467/05, Dell'Orto, 55; EuGH C-205/09, Eredics, 31.

[9] ტექსტში შემოკლებულია როგორც სსსკ.

მოჰყვა, გარდაცვლილის უფლებები და ვალდებულებები ენიჭება მის ახლო ნათესავს.

2. უფლება – გესმოდეს და გააგებინო

დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად, ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ურთიერთობას ამყარებს დანაშაულის მსხვერპლთან, ვალდებულია მას ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის გასაგები ფორმით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსხვერპლის ასაკი, სქესი, შეზღუდულუნარიანობა, მოწიფულობა, ენის ცოდნის დონე და წერა-კითხვის უნარები. ამასთან, მსხვერპლს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ საკუთარი ნათქვამი თუ ქმედებები სხვებსაც გააგებინოს,[10] მაგალითად, თუ დანაშაულის მსხვერპლი ყრუ არის, მაშინ მას უნდა მოემსახუროს თარჯიმანი, რომელსაც ესმის ყრუმუნჯთა ნიშნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწფოებს ინფორმაციის მიწოდება ევალებათ როგორც ზეპირი და წერილობითი ფორმით, ისე მარტივი და გასაგები ენით. დირექტივის მე-3 მუხლის სრულყოფილი აღსრულებისათვის ევროპული კომისია წევრ სახელმწიფოებს ურჩევს ინფორმაციის სხვადასხვა ენაზე გავრცელებას, ბეჭდური სახით მოცემული ინფორმაციის გამარტივებული ვერსიების შემუშავებასა და ადვილად ხელმისაწვდომი თარჯიმნებისა და მთარგმნელების ქსელის შექმნას.[11] დირექტივის მე-3 მუხლთან მჭიდრო კავშირშია თარჯიმნის მომსახურებასა და დოკუმენტების თარგმნის მოთხოვნა (მუხლი 7). თუ დანაშაულის მსხვერპლს არ ესმის სისხლის სამართლის პროცესის ენა, მის მიერ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, სულ მცირე საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ მისი დაკითხვის დროს, მსხვერპლს უნდა შეეძლოს თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა, რათა მიეცეს სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და მისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზების შესაძლებლობა. ამასთან, მის მიერ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, უფასოდ მიიღოს მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი არსებითი ინფორმაცია. არსებით ინფორმაციაში მოიაზრება სისხლის სამართლის პროცესის დამამთავრებელი გადაწყვეტილებები, სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომების დროსა და ადგილის აღმნიშვნელი ინფორმაცია ან სხვა ისეთი დოკუმენტი, რომელიც დანაშაულის მსხვერპლის მოთხოვნით შეიძლება მიჩნეულ იქნეს არსებითად. დირექტივის განსაკუთრებული ბუნება იმაშიც ვლინდება, რომ იგი დანაშაულის მსხვერპლს კონტროლის ფუნქციას ანიჭებს, კერძოდ, მას უფლებას აძლევს გაასაჩივროს თარჯიმნის მომსახურებასა ან დოკუმენტის თარგმნაზე უარი. წევრ სახელმწიფოები თავისუფლანი არიან გასაჩივრების პროცედურების მარეგულირებელი ნორმების შემუშავებაში.

მოცემულ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დირექტივის სტანდარტებს. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს უფლების – „გესმოდეს და გააგებინო''-ს შინაარსის მქონე ნორმას. თარჯიმნის მომსახურების კუთხით, აღსანიშნავია სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით მოწმეს (საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს ენიჭება მოწმის სტატუსი), რომელმაც არ იცის პროცესის ენა, შეუძლია ჩვენება მისცეს მისთვის გასაგებ ენაზე და სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თუმცა, მოცემული ნორმა პრობლემურია იმ კუთხით, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ სასამართლო საქმის განხილვის ეტაპზე და არ მოიცავს გამოძიების ეტაპს.

3. ინფორმაციის მიღების უფლება

დირექტივის მე-4 მუხლი შეიცავს იმ ინფორმაციის სრულყოფილ და დეტალურ ჩამონათვალს, რომელიც შესაბამისმა ორგანოებმა დანაშაულის მსხვერპლს პირველივე კონტაქტისთანავე უნდა

[10] იხილეთ: დირექტივის პრეამბულის 21-ე პუნტი.

[11] European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Fram ework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 10 (ჩამოტვირთა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: https://e-justice.europa.eu/home.do).

მიაწოდონ. დანაშაულის მსხვერპლს, გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეს ინტერპერსონალური გზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, ასევე უნდა შეეძლოს ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტებისა თუ ინტერნეტის მეშვეობით ინფორმირება. [12]

საქართველოში მოწმეებისა და დაზარალებულებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის მიწოდებისა და სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, დაზარალებულსა და პროკურატურას შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, 2011 წელს საქართველოს პროკურატურის ფარგლებში დაფუძნდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ექვს ქალაქში ფუნქციონირებს და რომელიც შესაბამისი პირების ინფორმირების გარდა, ახორციელებს ისეთ საქმიანობას, როგორიცაა დაზარალებულთან ერთად სასამართლო სხდომაზე დასწრება, დაზარალებულის პიროვნულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება, დაზარალებულსა და პროკურატურას შორის შეხვედრების ორგანიზება, ასევე დაზარალებულის დაკავშირება მხარდაჭერის სამსახურებთან, თავშესაფრებსა თუ იურიდიული დახმარების სამსახურებთან.[13]

დირექტივა კიდევ უფრო შორს მიდის და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დანაშაულის მსხვერპლს სისხლის სამართლის ყველა სტადიაზე მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ინფორმაცია: „გამოძიების დაწყებაზე უარის თუ შეწყვეტის შესახებ ან დამნაშავის სისხლისსამართლებრივი წესით დევნის შესახებ გადაწყვეტილება“ (მუხ. 6 პუნქტი 1 ქვეპუნქტი „a“), „სასამართლოს მთავარი სხდომის დრო და ადგილი, ასევე ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების არსი“ (მუხ. 6 პუნქტი 2 ქვეპუნქტი „b“), „სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობა“ (მუხ. 6 პუნქტი 1 ქვეპუნქტი „b“) და „ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლება/გაქცევა“. ამ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულად შეესაბამება დირექტივით დადგენილ სტანდარტებს, ვინაიდან ზემოაღნიშნული უფლებები განმტკიცებულია სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლებში.

4. აქტიური საპროცესო უფლებები

დანაშაულის მსხვერპლის პროცესის აქტიურ სუბიექტად წარმოჩინებისა და მისთვის მთავარი როლის მინიჭების მიზნით, დირექტივამ მას არაერთი აქტიური საპროცესო უფლებები მიაკუთვნა. მათ აქვს უფლება სასამართლო მოსმენაზე (მუხლი 10), დაცვის ღონისძიებებზე (მუხლი 11), საპროცესო ხარჯებისათვის დახმარების მიღებაზე (მუხლი 13), ხარჯების ანაზღაურებაზე (მუხლი 14), ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებასა (მუხლი 15) და კომპენსაციაზე (მუხლი 16).

მოცემულ შემთხვევაშიც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები შესაბამისობაში მოდის დირექტივის მოთხოვნებთან. სსსკ-ის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული წარმოდგენილია მოწმის სახით და სარგებლობს მისი ყველა უფლებით და ეკისრება მისი ყველა ვალდებულება. ამასთან, იგი უფლებამოსილია, სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას მისცეს ჩვენება მიყენებული ზიანის თაობაზე (მუხლი 57, ნაწ. 2 ქვეპუნქტი „გ“). სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით კი, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, დაიბრუნოს ჩამორთმეული ქონება და თუ მას ემუქრება მეორადი ან განმეორებითი ვიქტიმიზაცია, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება.

დირექტივის ნოვაციას წარმოადგენს მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რომ დანაშაულის მსხვერპლს მისცენ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

[12] European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 13 (ჩამოტვირთა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: https://e-justice.europa.eu/home.do).

[13] საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებ-გვერდი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური (იხილეთ: http://pog.gov.ge/geo/witness – უკანასკნელად ნანახია: 18.06.2017).

დირექტივის აღნიშნული მუხლი საქართველოში 2014 წელს სსსკ-ის 106-ე მუხლში 1[1] ნაწილის დამატებით იქნა აღსრულებული, რომლის მიხედვითაც, დაზარალებულს უფლება აქვს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა. მისასალმებელია, საქართველოს მიერ მოცემული მუხლის იმპლემენტაცია, თუმცა, პრობლემურია ის ჩანაწერი, რომლითაც ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი უსამართლოდ მიიჩნევენ. გარდა ამისა, დირექტივაში არ არის რაიმე დათქმა გაკეთებული, რომელიც ასეთ შეზღუდვას გაამართლებდა. მთავარი კითხვა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, არის ის, თუ რამდენად წარმოადგენენ დირექტივით გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლები[14] განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის[15] მე-12 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმეა დანაშაული, თუ მისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადამიანით ვაჭრობისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 12 წლამდე, ოჯახში ძალადობისთვის – ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო გაუპატიურებისათვის 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგიერთი განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლი საკმარისი დასაბუთების გარეშე უფლებრივად გაუარესებულ მდომარეობაშია ჩაყენებული, კერძოდ, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, რომ მათი საქმე გადასინჯოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ინსტიტუციამ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დირექტივით დადგენილ სტანდარტებს.

5. დაზარალებულის მონაწილეობა აღდგენით მართლმსაჯულებაში

დირექტივის მე-12 მუხლი ეხება აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხს, რომელსაც, ერთი მხრივ, შეუძლია დანაშაულის მსხვერპლს სარგებელი მოუტანოს, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიცავს მსხვერპლის მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების რისკებს, ამიტომ მისი გამოყენებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მსხვერპლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი პიროვნული მახასიათებლები. გარდა ამისა, მსხვერპლის მონაწილეობა უნდა ემყარებოდეს მის თავისუფალ არჩევანს და ნება-სურვილს. ამასთან, იგი ინფორმირებული უნდა იყოს პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებზე.[16]

საქართველოში დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგების ინსტიტუტი, კერძოდ, განრიდება და მედიაცია გამოიყენება როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა მიმართ. სრულწლოვანთა მიმართებაში, პროკურორი უფლებამოსილია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს

[14] დირექტივის პრეამბულის 57-ე პუნქტი გამოყოფს მსხვერპლთა კატეგორიას, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას არსებობს მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის უფრო მაღალი ალბათობა, შესაბამისად ისინი საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას. აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნებიან ადამიანით ვაჭრობის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ახლო ურთიერთობაში ძალადობის, სექსუალური ძალადობის ან ექსპლუატაციის, გენდერული ძალადობის ან სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან არასრულწლოვანი მსხვერპლები.

[15] ტექსტში შემოკლებულია როგორც სსკ.

[16] European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 13 (ჩამოტვირთა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: https://e-justice.europa.eu/home.do).

სისხლისსამართლებრივი დევნა. სსსკ-ის 168[2]-ე მუხლის თანახმად, განრიდების გაფორმებამდე პროკურორი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან. თუმცა, უკვე ნორმის ტექსტიდან იკვეთება, რომ პროკურორსა და დაზარალებულს შორის საუბარს არ აქვს მბოჭავი ძალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაზარალებულის მოსაზრება ვერ ახდენს გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითად პირობებში[17] განრიდების ხელშეკრულება მიჩნეულია სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად, რომლის მხარეებს წარმოადგენენ ბრალდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი, ან შესაბამის შემთხვევაში ფსიქოლოგი ან სხვა პირი (მუხლი 2, პუქნტი „ბ“). ამასთან, დაზარალებულის უარი განრიდების პროცესის დაწყებასა ან მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს. თუმცა, მას უფლება აქვს, აზრის შეცვლის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში (მუხლი 4, პუნქტი 4).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილში დირექტივას მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაზარალებული არ არის პროცესიდან გამოთიშული და განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ მასთან კონსულტაციის შემდეგ, მაგრამ ვინაიდან, პროკურატურას შეუძლია არ გაითვალისწინოს დაზარალებულის უარი და ამასთან დაზარალებული არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ზიანი მიადგეს მის ინტერესებსა და საჭიროებებს და მოხდეს მისი მეორადი ან განმეორებითი ვიქტიმიზაცია.

6. ინდივიდუალური შეფასება

დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დანაშაულის მსხვერპლი დაიცვან დამნაშავისაგან ან იუსტიციის სისტემისაგან, ამასთან, უზრუნველყონ მისი პირადი უსაფრთხოება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა,[18] მაგრამ ვინაიდან ყველა მსხვერპლს დაცვის განსხვავებული საჭიროება გააჩნია, საჭიროა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა განახორციელონ მსხვერპლის ინდივიდუალური შეფასება და დაადგინონ, თუ რა მოცულობით არსებობს მისი მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის საფრთხე, ასევე განსაზღვრონ დაცვის ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობა. ინდივიდუალური შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მსხვერპლის ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა ასაკი, მოწიფულობა, სქესი, გენდერული იდენტობა, დამნაშავესთან მისი ურთიერთობა, დანაშაულის სახეობა და თავისებურებანი. ამასთან, ინდივიდუალური შეფასება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე და განსაკუთრებული გულმოდგინებით მოხდეს განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლების საქმეების გამოძიება.

საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ინდივიდუალური შეფასებისა და განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლების სპეციფიკური ჯგუფის შესახებ ნორმა, თუმცა აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ აღმოფხვრილია იმით, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ახორციელებს ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლების შეფასებას და მათ უწევს ფსიქოლოგიურ დახმარებას. გარდა ამისა, 2015 წელს მიღებულ იქნა არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელშიც დაზარალებულს ეძღვნება ერთი მთლიანი თავი და 24-ე მუხლში განმტკიცებულია მისი ისეთი უფლებები, რომელიც უზრუნველყოფს მის სათანადო დაცვას – მაგალითად, სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის დაკითხვა და დაკითხვის ვიდეოგადღება ან სხდომის დახურვა. ამასთან, არასრულწლოვან დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლო სხდომებს დაეწროს მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად ან ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.

[17] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #210, დანართი 1 (ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195).

[18] EuGH, C-483/09, Gueye und Salmerón Sánchez, 63-64.

III. დასკვნა

ევროპის კავშირისა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამართლებრივ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ევროპულ სტანდარტებს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება. ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისგან გამომდინარე ვალდებულების ფარგლებში, რომელიც მოიაზრებს დირექტივის აღსრულებას, გადაიდგა ზოგიერთი პოზიტიური ნაბიჯი, თუმცა მაინც რჩება დაზარალებულის უფლებების გაძლიერებისა და დაზარალებულის საჭიროებებზე მორგებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობა.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მეორე სამუშაო შეხვედრის ანგარიში – 2017 წლის მარტი (იენა/ბერლინი)*

სამეცნიერო თანამშრომლები ***პაულ ანდრეას გლატცი/ფრანც-პეტერ ჰელბიგი***,
იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი

2017 წლის 15-19 მარტს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტსა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ჩატარდა გერმანულ-ქართული სისხლისსამართლებრივი პროექტის მეორე სამუშაო შეხვედრა. პროექტი და მისი მხარდამჭერი – ფოლკსვაგენის ფონდი უკვე ამომწურავადაა წარმოდგენილი პროფესორ დოქ. *ედვარდ შრამმისა* და პროფესორ დოქ. *გიორგი თუმანიშვილის* მიერ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის 2016 წლის მეორე გამოცემაში, 30-31 გვერდებზე.

მეორე სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა სტიპენდიანტებისა და სახელმძღვანელოთა ავტორების მიერ განხორციელებული კვლევების პროგრესის წარმოჩენასა და პროექტის მონაწილეთა შორის აკადემიური კონტაქტების დამყარების ხელის შეწყობას. 2017 წლის 15 მარტს ქართველი და გერმანელი მონაწილეები შეიკრიბნენ იენაში და დატკბნენ საუნივერსიტეტო ქალაქის ხედით JenTower-ის 24-ე სართულიდან. ეს დღე გაფორმებული იყო იენის ფილარმონიის კონცერტით Jenaer Volkshaus-ში და როკმუსიკის პრეზენტაციით იენის პლანეტარიუმში.

ხუთშაბათს დაიწყო აკადემიური დისკურსი იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მთავარი შენობის სენატის სხდომათა დარბაზში. იენის უნივერსიტეტის დეკანის, პროფესორ *ვალტერ პაულისა* და იენის უნივერსიტეტის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელის ქალბატონ დოქტორ *კლაუდია ჰილინგერის* მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, სამუშაო შეხვედრა გახსნა პროფესორმა *შრამმა* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი) მოხსენებით „ქართული სისხლის სამართალი ევროპის გზაზე“. ამასთანავე, მიმოხილული იყო საქართველოს ისტორია, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოსა და ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასა და შესაბამის ფონს.

ამ შესავლის შემდეგ, სამუშაო შეხვედრა გაგრძელდა პროექტის სტიპენდიანტის ქალბატონ *ანა ნასრაშვილის* (თსუ) და პროფესორ *ბაჩანა ჯიშკარიანის* (თსუ და საქართველოს უნივერსიტეტი) მოხსენებებით ქართული სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციის შესახებ. ქალბატონ *ნასრაშვილის* მოხსენება შეეხებოდა ქართული სისხლის სამართლის პროცესის ახალ რეგულაციებს, რომლებიც 2014 წლიდან ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ შევიდა ძალაში. ასევე, ქალბატონმა *ნასრაშვილმა* წარმოადგინა, თუ რამდენად არის სისხლის სამართლის პროცესის ჰარმონიზებადი დარგები ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად 2014-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით დაკონკრეტებული. შესაბამისად, წარმოდგენილი იქნა საპროცესო შეთანხმებისა და დაზარალებულის უფლებების ევროპეიზაციის, მხარეთა თანასწორობისა და პირადი მონაცემების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების შემუშავებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის პროცესები. პროფესორმა *ჯიშკარიანმა* განიხილა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლისათვის, მეტწილად, უდანაშაულობის პრეზუმფციის, სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრიობის პრინციპების მაგალითზე. დამატებით, პროფესორმა *ჯიშკარიანმა* წარმოადგინა, თუ რა რანგი ენიჭება კონვენციას ქართული სამართლის სისტემაში და მიუთითა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ფარგლებში ევროპეიზაციის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე.

მცირე შესვენების დროს მოეწყო პატარა ექსკურსია ქალაქში, რომლის დროსაც მონაწილეები ეწვივნენ *პაულ იოჰან ანსელმ ფონ ფოიერბახის* ძეგლსა და უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ისტორიულ აუდიტორიას.

ხუთშაბათს პროფესორმა *გიორგი თუმანიშვილმა* (თსუ) და ქალბატონმა *ხატია თანდილაშვილმა*

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა ლადო სირდაძემ.

(თსუ), რომელიც აგრეთვე პროექტის სტიპენდიანტია, იმსჯელეს საქართველოში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის განვითარებისა და თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლის ფუნქციის შესახებ ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით. პროფესორმა *თუმანიშვილმა* მიმოიხილა ეს განვითარება და დაასკვნა, რომ საქართველოში 2009 წლის ოქტომბერში გაუქმდა სისხლის სამართლის პროცესის კონტინენტურევროპული მოდელი და ის ჩანაცვლდა ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რის გამოც მან წარმოადგინა დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, როგორც ძველ, ასევე რეფორმირებულ სისხლის სამართლის პროცესში. ქალბატონმა *თანდილაშვილმა* განაცხადა, რომ ევროპის კავშირმა 2012 წელს დაზარალებულის დაცვის შესახებ დირექტივის გამოცემით დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვნად გააფართოვა და რომ საქართველოც, 2014 წლის ევროპის კავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ვალდებულია გაითვალისწინოს დაზარალებულის უფლებების ევროპული პრინციპები. ამის შემდეგ ქალბატონმა *თანდილაშვილმა* ერთმანეთს შეადარა დირექტივისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულაციები და დაასკვნა, თუ რა მსგავსებები და განსხვავებებია მათ შორის, რა სამართლებრივი ხარვეზებია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სად არის მისადაგების აუცილებლობა.

შემდეგ პროფესორმა *ჰაინერ ალვარტმა* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი) და პროფესორმა ჯიშკარიანმა (თსუ) წარმოდგინეს საქმის არსებითი განხილვის პრობლემატიკა გერმანულ და ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. პროფესორმა *ალვარტმა* განაცხადა, რომ სასამართლოს საჯაროობაში აისახება საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარება და რომ თანამედროვე პრობლემის გაანალიზება შესაძლებელია განმანათლებელ *პაულ იოჰან ანსელმ ფონ ფოიერბახისა* და იმდროინდელი ცენზურის მიდგომების შესწავლით. პროფესორმა *ალვარტმა* ბოლოს გამოთქვა მოლოდინი, რომ მომავალში ჩამოყალიბდება სასამართლოს საჯაროობის ისეთი ფორმა, რომლის ფარგლებშიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქმის არსებითი განხილვისას ძირითადად სატელევიზიო საჯაროობისაგან დამოუკიდებელი დარჩება. პროფესორმა *ჯიშკარიანმა* წარმოადგინა ქართული სისხლის სამართლის პროცესის ის დებულებები, რომლებიც შეეხება სასამართლო განხილვების საჯაროობას და აგრეთვე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ, გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოში ნებადართულია ვიდეოგადაღება და პირდაპირ ეთერში გადაცემა. ეს ფართო საჯაროობა ქართული საზოგადოების მიერ შეფასებულია, როგორც მართლმსაჯულების უწყებების კონტროლის მექანიზმი. ამავდროულად, პროფესორმა *ჯიშკარიანმა* მიუთითა, რომ, მეორე მხრივ, შესაძლოა ამ ღონისძიებებით გარკვეულ შეთხვევებში დაირღვეს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია. მცირედი პირადი შენიშვნა შესაძლოა აქ ნებადართული იყოს: სამუშაო პროცესითა და დისკუსიით დატვირთული ხუთშაბათის შემდეგ პროფესორ *ჯიშკარიანის* პატივსაცემად, მისი იუბილის აღსანიშნავად, გაიმართა მცირე ზეიმი დაბადების დღის მისალოცი სიმღერით, იენური კარაქის კრემის ტორტითა და უამრავი გულითადი მილოცვით.

პარასკევს მონაწილეებმა განაგრძეს მოხსენებათა დისკურსი იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სხდომათა დარბაზში. პროფესორმა *მორის შალიკაშვილმა* (თსუ) და პროფესორმა *ფლორიან კნაუერმა* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი) ისაუბრეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ევროპეიზაციის შესახებ. პროფესორმა *შალიკაშვილმა* თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ 2015 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რითაც დიდი ნაბიჯი გადაიდგა ევროპისკენ. პროფესორმა *შალიკაშვილმა* აგრეთვე მიუთითა კოდექსის პრაქტიკაში გამოყენებისას არსებულ გარკვეულ პრობლემებზე და მოითხოვა ქართულ სამართალში ცვლილებების შეტანა. პროფესორმა *კნაუერმა* გაუზიარა მონაწილეებს საკუთარი შეხედულება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებათა, ევროპის სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა ზოგადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის და კონკრეტულად – აღზრდის ცნების განსაზღვრის კონტექსტში არ არის სრულყოფილად გაანალიზებული. პროფესორ *კნაუერის* აზრით, უდიდესი მასალების შესწავლა აჩვენებს, რომ ადრინდელი ტენდენციები შესწავლილ დარგებში იმდენად შეუსაბამოა ერთმანეთ-

თან, რომ აღზრდის კონსტიტუციურ- და ევროპის სამართლებრივი ცნებების განსავითარებლად დამატებითი კვლევებია საჭირო.

თემათა შემდეგ ციკლში ისაუბრეს ბატონმა *ფრანც-პეტერ ჰელბიგმა* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი) და ქალბატონმა *თამარ გეგეშიძემ* (თსუ) სისხლის სამართლის პროცესში მედიასთან დაკავშირებულ თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზე და დასვეს არაერთი საინტერესო საკითხი. ბატონმა *ჰელბიგმა* იმსჯელა კიბერდანაშაულის კონვენციის, მონაცემთა შენახვისა და სისხლის სამართლის პროცესში გამოძიების წარმართვის შესახებ ევროპული დირექტივის შესაბამისობაზე. მან ტრანსნაციონალურ კონტექსტში განიხილა სისხლის სამართლის პროცესში ტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტები. შესაბამისად, მან წარმოადგინა გერმანიაში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა და გამოკვეთა არსებული პრობლემები. გარდა ამისა, ბატონმა *ჰელბიგმა* მიუთითა იმ როლზე, რომელსაც საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება თამაშობს სისხლის სამართლის საქმეებში. დამატებით მან განიხილა ევროპული პრინციპების შესაბამისად განსახორციელებელი რეფორმის საწყისები, რომელმაც შესაძლოა აგრეთვე წვლილი შეიტანოს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გაადვილებაში. ქალბატონმა *გეგეშიძემ* ისაუბრა ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებზე, რომლებიც ეხება თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების შედეგად წარმოშობილ მტკიცებულებათა შესწავლასა და შეფასებას. ქალბატონმა *გეგეშიძემ* მოცემულ ფარგლებში წარმოაჩინა ქართულ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფას. ის აგრეთვე შეეხო იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით, კერძოდ, უფლებამოსილი ორგანოს ხელმისაწვდომობას კომუნიკაციის მოწყობილობებსა და მონაცემთა შენახვას საქართველოში. დამატებით ქალბატონმა გეგეშიძემ გააანალიზა 2017 წლის მარტის ცვლილებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე იქნა მიღებული.

შაბათს სამუშაო შეხვედრის მონაწილეები გაემგზავრნენ ბერლინში, რათა იქ პროფესორ დოქტორ *მარტინ ჰეგერის* (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) საორგანიზაციო ხელმძღვანელობით, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში გაეგრძელებინათ სამუშაო შეხვედრა. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში იურისტები ბატონი *რატი ახალაია* (საქართველოს უნივერსიტეტი) და ბატონი *დავით ჩიხლაძე* შეუერთდნენ ჩვენს შეხვედრებს.

მოგვიანებით სამართლის დოქტორმა ბატონმა *გიორგი დგებუაძემ* (თსუ), პროფესორმა *მერაბ ტურავამ* (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, თსუ) და სამართლის დოქტორმა *ბორის ბურგჰარდტმა* (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) წარმოადგინეს ქართული სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა 2008 წლის ომზე კავკასიაში. ბატონმა *დგებუაძემ* დაწვრილებით ისაუბრა კავკასიის ომის დროს განხორციელებულ საბრძოლო მოქმედებებზე და კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე. შემდეგ მან წარმოადგინა ამ კონფლიქტში არსებულ პროცესებთან დაკავშირებით საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს კომპეტენციის შესახებ საკუთარი კვლევის შედეგები. პროფესორმა *ტურავამ* მიმოიხილა ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისობის თანამდეროვე განვითარება. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად ახდენს გავლენას საერთაშორისო და ევროპული ნორმები ქართულ კანონმდებლობაზე. ამის შემდეგ ბატონმა *ბურგჰარდტმა* მიმოიხილა გერმანიის საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის წარმოშობა და საფუძვლები. მან დაწვრილებით აღწერა გერმანიაში არსებული ადრინდელი საერთაშორისო სისხლის სამართლის პრაქტიკა. ამასთანავე, ბატონმა *ბურგჰარდტმა* ხაზი გაუსვა, რომ მთავარი პროკურატურა გერმანიის საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის ჩანაწერებს იყენებს, როგორც დამატებით ინსტრუმენტს ტერორიზმთან სისხლისსამართლებრივ ბრძოლაში, რაც საკმაოდ ბუნდოვან გადაწყვეტას წარმოადგენს. ბოლოს სამართლის დოქტორმა ბატონმა *ბურგჰადრტმა* განმარტა კოდექსის მე-13 მუხლით მოწესრიგებული აგრესიის დანაშაული, რომელმაც 2017 წლის პირველი იანვრიდან სისხ-

ლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის ძველი რედაქციით გათვალისწინებული აგრესიული ომის შემადგენლობა ჩაანაცვლა.

სამეცნიერო პრეზენტაციების დასასრულს, მოხსენებები გააკეთეს პროფესორმა *ჰეგერმა* (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) და დოქტორანტმა ბატონმა *გიორგი მირიანაშვილმა* (თსუ), რომელიც ასევე სისხლის სამართლის პროექტის სტიპენდიატია. მოხსენებები შეეხებოდა საერთაშორისო სამართლებრივ დახმარებას გერმანიასა და საქართველოს შორის დანაშაულთა გამოძიებისას. პროფესორმა *ჰეგერმა* ისაუბრა ევროკავშირის ფარგლებში სამართლებრივ დახმარებაზე ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ევროპული ორდერის მაგალითზე. მან ასევე შეაქო პრაქტიკის კვლევის შედეგად წარმოჩენილი დადებითი გამოცდილებები, რომლებიც უკავშირდება ევროპულ ორდერს. მეორე მხრივ, მან ასევე მიუთითა პრობლემებზე, რომლებიც წარმოშობის ქვეყნის პრინციპსა და ეკონომიკური სამართლიდან სისხლის სამართლის ფარგლებში გადასვლას უკავშირდება. სამუშაო შეხვედრის ბოლო მომხსენებელმა ბატონმა *მირიანაშვილმა* ისაუბრა სისხლის სამართლის დარგში ევროპის კავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზში მან მიუთითა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს სასამართლოებს შორის თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობაზე.

პროფესორმა *შრამმა*, პროექტის ქართველი პარტნიორის, პროფესორ *თუმანიშვილის* სახელით, გულითადი მადლობა გადაუხადა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს, იენელ ორგანიზატორებს ბატონ *პაულ გლატცსა* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი) და ქალბატონ *პეტრა რიხტერს* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), აგრეთვე სხდომის თარჯიმანს, სამართლის დოქტორ ქალბატონ *ხატია კიკალიშვილს*. მადლობა დაიმსახურა აგრეთვე ქალბატონმა დოქტორმა *ასტრიდ ბოტჰმანმა*, რომელიც მრავალწლიანი სამსახურის შემდეგ, ყოფილი მხარდამჭერი რეფერანტის, დოქტორ *ვოლფგანგ ლევერმანის* წასვლის შემდეგ ფოლკსვაგენის ფონდის ფარგლებში კურირებს პროექტს და რომელმაც შეძლო სამუშაო შეხვედრის განმავლობაში პირადი შთაბეჭდილება შეექმნა პროექტის მსვლელობასა და მონაწილეებზე. პროექტი გაგრძელდება საზაფხულო სკოლით ბათუმში 2017 წლის სექტემბერში და 2018 წელს მესამე სამუშაო შეხვედრით თუბინგენსა და სტრასბურგში.